საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

მ. მოწერელია

სტუმარმასპინძლობის ტრადიციები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1987

ნაშრომში გაშუქებულია სტუმარმასპინძლობის ტრადიციები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ნაჩვენებია ტრადიციის გამოვლინება საოჯახო და საზოგადოებრივ ყოფაში, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. გამოკვლევას ბოლოში ერთვის პრაქტიკული რეკომენდაციები. განკუთვნილია ეთნოგრაფებისათვის, ისტორიკოსებისა და ქართული ტრადიციებით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ვ. ითონიშვილი

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები
რ. თოფჩიშვილი, მ. მაკალათია

მ $\frac{0400000000}{М\ 607(06)—87}$ 169—87

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987

„მოსვლამც ქნა კარგის სტუმრისა,
შინ წასვლა წესი არ იყო,
დგომამც ქნა შავის ლუდისა,
გათავებაიმც არ იყო...“

ხალხური

ქართველ ხალხს საუკუნეთა განმავლობაში მრავალი ტრადიცია, წეს-ჩვეულება ჩამოუყალიბებია, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია სტუმარმასპინძლობა. სტუმარმასპინძლობის ტრადიციები მხოლოდ ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი თვისება როდია. იგი უნივერსალურ მოვლენას წარმოადგენს და წარმოქმნილია საზოგადოების განვითარების გარიჟრაჟზე. ამასთანავე, როგორც ყველა წეს-ჩვეულება, ისევე სტუმარმასპინძლობა ამა თუ იმ ხალხისათვის სხვადასხვა ნიშან-თვისებითაა დამახასიათებელი. ქართველი ხალხი, კი, როგორც ცნობილია, გამოირჩევა სტუმარმასპინძლობით, სტუმართმოყვარეობით და, ამდენად, აღნიშნული ინსტიტუტის მეცნიერულ-ეთნოგრაფიულ შესწავლას, მისი გენეზისის კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სტუმარმასპინძლობის ტრადიციები თანამედროვე კომუნისტურ საზოგადოებაშიც მოქმედებს. სტუმარმასპინძლობის აქტუალობის საფუძველია არა მარტო ამ ჩვეულების ღრმა ისტორიულობა და მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებისათვის, არამედ, პირველ რიგში, მისი ადგილი და როლი ჩვენს თანამედროვეობაშიც.

საბჭოთა ხალხების ძეძო ოჯახები, ხალხთა ძმობის ურთიერთობაში სტუმარმასპინძლობა განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს, ვინაიდან ამ ტრადიციის დახვეწილი ფორმების გამოყენება ხელს უწყობს სხვადასხვა ერების დაახლოებას, შროშმითი გამოცდილებისა და კულტურულ ღირებულებათა ურთიერთგაზიარებას.

კომუნისტური პარტიის რიგ დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებში ყოველთვის ხაზგასმულია, რომ ცალკეული ერის სულიერ მემკვიდრეობაში, ტრადიციებში, ყოფაში არის არა მარტო კარგი, არამედ ცუდიც, დრომოჭმულიც. პარტია იბრძვის იმისათვის, რომ არ დაკონსერვდეს ეს ცუდი, პირიქით, უნდა გავთავისუფლდეთ ყოველივე მოძველებულისაგან, ნეგატიურისაგან. რადგან ისინი ეწინააღმდეგებიან საბჭოთა ცხოვრების ნორმებს, კომუნისტურ ზნეობასა და იდეალებს.

ასეთი სახელმძღვანელო მითითებები უაღრესად დიდ როლსა და მისიას აკისრებს ეთნოგრაფიულ მეცნიერებას, რადგანაც სწორედ ეს მითითებები ზრდის ამ მეცნიერების პასუხისმგებლობას, გამოყენებით-პრაქტიკულ მნიშვნელობას ყოფის მრავალი სფეროს მიმართ. ეს განსაკუთრებით ეხება სტუმარმასპინძლობის ტრადიციებს, რადგან დღევანდელ ცხოვრებაში ის დადებითი და უარყოფითი ელემენტების ერთობლიობას წარმოადგენს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სტუმარმასპინძლობა თავისი ბუნებით უნივერსალური ხასიათისაა, ვინაიდან ის ყველა ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრებისათვისაა დამახასიათებელი ადამიანთა საზოგადოების წარმოშობიდან დღემდე. ყოფის ამ საინტერესო მოვლენის უნივერსალობა მდგომარეობს მის საყოველთაოდ გავრცელებაში, მაგრამ, ამასთან ერთად, მისთვის დამახასიათებელია მეორე მხარეც — ტრადიციულობა, რაც

წარმოაჩენს მის სპეციფიკას, ხალხის ცხოვრების თავისთავადობას.

სტუმარმასპინძლობის წესები და, საერთოდ, ტრადიციები მეორადია როგორც თავისი წარმოშობით, ისე საზოგადოების წევრთა ქცევაზე ზემოქმედებით. მათი შესწავლის პროცესში დგინდება, რომ ტრადიციათა ნებისმიერი სისტემა თავისებური მხატვრულ-ემოციური ფორმით გამოხატავს მნიშვნელოვან მოსაზრებებს და შეხედულებებს, რომლებიც არც თუ იშვიათად კლასობრიობამდელი წყობის იდეოლოგიამდე დადის.

ყოველი ტრადიციის შესწავლა საჭიროა საზოგადოების სოციალური ურთიერთობისაგან მოუწყვეტლად, რადგან, როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა, ყოველი ინდივიდის მოქმედებას განსაზღვრავს საზოგადოებრივი აზრი და ამ საზოგადოების მიერ შემუშავებული, დაკანონებული ნორმები [1, 590].

ყოველი ტრადიციის დამკვიდრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორი ფაქტორი: 1. ერთი და იმავე წესის ხანგრძლივი და სისტემატური განმეორება და 2. რწმენა იმისა, რომ საქციელი შეესაბამება მორალურ და ზნეობრივ ნორმებს [68, 552]. ზნეობრივი ნორმების განმსაზღვრელი, ყოველთვის პრაქტიკულ ურთიერთობაზე და ეკონომიკურ მდგომარეობაზეა დამყარებული, რაზეც კარგად მიუთითებს ფ. ენგელსიც:

„... ადამიანებს, შეგნებულად თუ შეუგნებლად, თავიანთი ზნეობრივი შეხედულებანი საბოლოო ინსტანციაში გამოჰყავთ პრაქტიკული ურთიერთობიდან, რომელზედაც მათი კლასობრივი მდგომარეობაა დაფუძნებული, ე. ი. ეკონომიური ურთიერთობებიდან, რომელშიც ხდება წარმოება და გაცვლა“ [2, 111].

ხალხი ქმნის გარკვეულ ტრადიციებს, ავითარებს, ინახავს მას. მასში (ტრადიციებში) ვლინდება ხალხის ხასიათი, მისი

თავისებურებები. სწორედ ამიტომ არ შეიძლება წარსულის მაგალითის, გამოცდილების სრული უგულებელყოფა. ვ. ი. ლენინი მოუწოდებდა რა პროლეტარული კულტურის შექმნისაკენ, პარალელურად აკრიტიკებდა ულტრარევოლუციონერთა მოწოდებებს — სრულიად უარეყოთ მდიდარი მემკვიდრეობა, ხალხური და კლასიკური წარსულის ელემენტები. იგი ხაზს უსვამდა, რომ პროგრესული ხალხური ტრადიციები არის ახალი რევოლუციური ტრადიციების საფუძველი და პროლეტარული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი; რომ ახალი კულტურის შესაქმნელად აუცილებელია კრიტიკულად მიუდგე და გაიაზრო ყველაფერი კარგი, რაც შექმნილია წინა თაობების მიერ [3, 660]. ასეთ კატეგორიას განეკუთვნება სტუმარმასპინძლობა. მისი უძველესი და არქაული სახე არის წმინდა და აუცილებელი მოვალეობა, როდესაც სტუმარმასპინძლობის წესს იცავს ყველა — ნებისმიერის მიმართ. ასეთი სახით ეს ტრადიცია გავრცელებული იყო ყველგან. სტუმარმასპინძლობის ამგვარი ფორმით შენარჩუნებას ხელს უწყობდა საზოგადოებრივი აზრი იმიტომ, რომ სტუმრის მიღება იყო არა მარტო ინდივიდუალური საქმე, არამედ საზოგადოებრივი საქმე-მოვალეობაც. ამიტომაც, ყველა მასპინძელი მოვალე იყო მთელი სოფლის ან თემის წინაშე. პიროვნება, რომელიც არღვევდა ამ წესს, საზოგადოების სასტიკ გაკიცხვას იმსახურებდა. სტუმრისადმი დამოკიდებულების ეს წესი, რა თქმა უნდა, ადამიანთა საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზეა ჩასახული, კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნამდე, როდესაც ცხოვრებას ჯერ კიდევ თემური წყობილება წარმართავდა. თუმცა, ისტორიის ადრეულ საფეხურზე ჩასახულ სოციალურ სისტემათა ეს რიგი, გვიანობამდე განაგრძობდა არსებობას.

სტუმარმასპინძლობის ტრადიციამ თავიდანვე მიიქცია ზოგადი ეთნოგრაფიით დაინტერესებულ მკვლევართა ყურადღება, რომელთა შორისაც შეიძლება დავასახელოთ გ. შურცი [72, 258], ლ. ლევი-ბრიული [60, 73], ლ. მორგანი [64, 41], ე. ტეილორი [71, 404], ი. ლიპსი [62, 159—160] და სხვები. თითქმის ყველა მათგანისათვის დამახასიათებელი იყო სტუმარმასპინძლობის ინსტიტუტის იდეალისტური ახსნა. მხოლოდ ლ. მორგანი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი იმ მეცნიერთა შორის, რომელთაც აღნიშნეს, რომ სტუმართმოყვარეობა არის გვაროვნული წყობის სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების წარმონაქმნი [64, 41], თუმცა ამ საკითხში ისიც ვერ გასცდა იდეალისტურ თვალთახედვას, რადგან სტუმართმოყვარეობას ღვთის მიერ ყველასათვის ბოძებულ უფლებად თვლიდა.

ჩვენი აზრით, სტუმრის მიღებისა და მისი გამასპინძლების უძველესი ტრადიციის არსი და სილამაზე მის არა მატერიალურ, არამედ მორალურ მხარეშია, თუმცა არ უარვყოფთ ეკონომიკური საწყისის მთავარ მამოძრავებელ როლსაც. ურთიერთდახმარების, ურთიერთგატანის ინსტინქტი უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო, ვიდრე დანაყრების ეგოისტური სურვილი. წინააღმდეგ შემთხვევაში საკვების მოპოვების მეტ-ნაკლებად გაიოლების დღიდან სტუმართმოყვარეობის წესს უნდა დაეკარგა თავისი მნიშვნელობა და გამქრალიყო. ფაქტები კი პირიქით მეტყველებენ. მეორეც — სწორედ გაჭირვებისა და შიმშილის დროს იყო დასაფასებელი მასპინძლის გულკეთილობა. ამით იგი არა მარტო ვალს იხდიდა საზოგადოების წინაშე, არამედ საფუძველსაც იმტკიცებდა საიმისოდ, რომ სხვა შემთხვევაში თვითონაც ესარგებლა უცხო ან მახლობელი ადამიანის მასპინძლობით.

არა ერთი მკვლევარი და მოგზაური დაინტერესდა სტუმარმასპინძლობის ტრადიციებით საქართველოსა და კავკასიაში. შეიძლება დავასახელოთ მ. კოვალევსკი [56, 29] ა. ზისერმანი [52, 26, 214, 256, 371], ნ. დუბროვინი [51, 138—140], ფ. ლეონტოვიჩი [61, 125, 177] გ. რადე [70, 86—88], ვ. პოჟიდაევი [69, 104].

კავკასიური სტუმარმასპინძლობის ტრადიციებს მეტ-ნაკლებად შეეხო საბჭოთა ეთნოგრაფი ბ. ბგაჟნოკოვი [47]. საინტერესოა ი. ივანოვას სტატია, რომელშიც განხილულია სტუმარმასპინძლობის ტრადიციების არქაული ფორმები მათი განვითარების ტენდენციები, შესრულების ხასიათი და გამძლეობის ფაქტორები [53].

ეთნოგრაფებთან ერთად, ქართული სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციებით დაინტერესებული არიან ფსიქოლოგებიც [12, 24; 31], რადგანაც ამ ინსტიტუტის შესწავლა წარმოაჩენს ქართველი ხალხის რიგ ეთნოფსიქოლოგიურ თავისებურებას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სტუმარმასპინძლობის ტრადიცია ზოგადქართულია, მაგრამ, ისევე როგორც წეს-ჩვეულებების სხვადასხვა სფეროში, სტუმარმასპინძლობაშიც შეიმჩნევა რეგიონალური და კუთხურ-ტერიტორიული სპეციფიკა, ეს კი, თავისთავად, რიგი ბუნებრივ-გეოგრაფიული, სამეურნეო-ეკონომიკური, სოციალური ფაქტორებითა და ამა თუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელი ისტორიული ბედითაა განპირობებული. სტუმარმასპინძლობის კუთხურ-რეგიონალური სპეციფიკა კი ამრავალფეროვნებს შინაარსით ამ საერთო ქართულ ეროვნულ მოვლენას. აღნიშნული თვალსაზრისით კი განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი (ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი, მთიულეთი, ხევი), რომლის მცხოვრებთა ყოფაშიც განსაკუთრებული ადგილი უკავია სტუმარმასპინძლობას.

წინამდებარე ნაშრომი ძირითადად ემყარება ჩვენ მიერ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზემოთ დასახელებულ რეგიონებში შეკრებილ საველე ეთნოგრაფიულ მასალებს (1978—1984 წწ.). ამავე დროს ვეყრდნობით ქართველ მთიელთა ყოფის შესანიშნავი მცოდნის ალ. ოჩიაურის ჩანაწერებს. სტუმარმასპინძლობისადმი მიძღვნილი ალ. ოჩიაურის მასალების ერთი ნაწილი, რომელიც საკუთრივ სტუმარმასპინძლობის ტრადიციებს ეხება, ცალკე წიგნადაა დაბეჭდილი [26].

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში სტუმარმასპინძლობის ინსტიტუტის შესწავლამ საშუალება მიგვცა ცალ-ცალკე გამოგვეყო სტუმარმასპინძლობის ტრადიციები საოჯახო და საზოგადოებრივ ყოფაში, ისეთი უმთავრესი კომპონენტების მიხედვით, როგორიცაა ქორწილი, გლოვა და ხალხური დღეობები. საკითხის სისრულით შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფოლკლორულ მონაცემებს.

ნაშრომის ბოლო ნაწილი ეძღვნება სტუმარმასპინძლობის ტრადიციების ადგილისა და მნიშვნელობის ჩვენებას თანამედროვე ცხოვრებაში. ამ შემთხვევაში ვითვალისწინებთ როგორც დადებითი ეროვნული ტრადიციების როლს, ისე დრომოჭმული ჩვეულებებისა და თანამედროვე ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებს. სტუმარმასპინძლობის ტრადიციების ამ ჭრილში შესწავლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა იმისა, რომ მოვლენები განვიხილოთ კრიტიკულად, დავაფასოთ ძველი დროიდან შემორჩენილი სასარგებლო ჩვეულებები, უარვყოთ ან შევზღუდოთ თანამედროვე ეპოქისათვის შეუფერებელი გადმონაშთები და დავნერგოთ ცხოვრების სოციალისტური წესისათვის შესაფერისი ტრადიციები. ამგვარი მიდგომის საფუძველს გვიქმნის საბჭოთა კავშირის კომუნიტური პარტიის XXVII ყრილობის სულისკვეთება, კერძოდ, თანამედროვე ყოფითი კულტურის სფეროში ხალხური ტრა-

დიციების ადგილისა და როლის განსაზღვრა. ყრილობამ სრული სიცხადით გვიჩვენა, თუ საზოგადოების ცხოვრებაში რაოდენ დამაბრკოლებელია დრომოჭმული ჩვეულებების არსებობა და როგორ უნდა ვიბრძოლოთ ახალი პროგრესული ტრადიციების განმტკიცებისათვის. საქართველოში ამგვარივე დამოკიდებულების საფუძველი შეგვიქმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 24 ნოემბერს მიღებულმა დადგენილებამ „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ". მისი და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების სახელმძღვანელო დებულებებზე დაყრდნობით, შევეცადეთ ნაშრომში გვეჩვენებინა სტუმარმასპინძლობის ტრადიციების ადგილი ქართველ მთიელთა საოჯახო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი გამძლეობის ფაქტორები და თავისებურებანი.

* * *

ქართველი ხალხის ეთნიკური ტრადიციებიდან ხშირად გამოიყოფა სტუმარმასპინძლობის ტრადიცია. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ კულტურის ისტორიის მონაცემებით, მსოფლიოს ყველა ხალხში ეს ტრადიცია სხვადასხვა სიძლიერით, ფორმითა და შინაარსით ვლინდება. ამას განსაზღვრავს მოცემული ხალხის ცხოვრების კონკრეტულ-ისტორიული პირობები. მაშასადამე, თავისი ეთნიკური შინაარსით სტუმართმოყვარეობა, როგორც სოციალური მოვლენა, საერთო საკაცობრიოა, ინტერნაციონალურია, მაგრამ მისი გამოვლინება ეროვნულ თავისებურებამდეა დასული [148—149].

სტუმართმოყვარეობის ტრადიცია ხალხის ზნეობრივ სფეროს ეხება. ზნეობრივი ნორმების ხელშეუხებლობას კი იცავს

შთამომაკლობით გადაცემული დაუწერელი კანონი, რომლისადმი დაუმორჩილებლობა, რბილად რომ ვთქვათ, საზოგადოების მიერ პიროვნების გაკიცხვას გამოიწვევს. სწორედ სტუმარმასპინძლობის ამ დაუწერელმა კანონმა შეუწყო ხელი ხალხთა დაახლოებას, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მცხოვრებლებისა და, საერთოდ, კავკასიის მთიელების საერთო დამახასიათებელი თვისებაა განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობა. ამ ინსტიტუტის დღევანდლამდე მტკიცედ შემონახვის მიზეზების თაობაზე, ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. აქ ყველგან და ყოველთვის მფარველობას და მასპინძლობას უწევდნენ სტუმარს, რაც ძირითადად ორ ფაქტორზე — პრაქტიკულზე და რელიგიურზე იყო დამოკიდებული [69, 104—105]. პირველი მათგანი მეტყველებს: — „რასაც დასთესავ, იმასვე მოიმკი", ხოლო მეორე — „სტუმარი ღვთისაა". საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ჰომეროსის ეპოქის ბერძნებს მიაჩნდათ, თითქოს ყოველი უცხოელი იმყოფებოდა ღმერთებისა და ხალხის მბრძანებლის — ზევსის მფარველობის ქვეშ. იგი (ზევსი) ატარებდა „სტუმართმოყვარის" სახელს [4]. ყოველივე ამის წყალობით, შორიდან მოსულ მგზავრს ყოველთვის უნდოდა ჰქონოდა იმედი, რომ შეიფარებდნენ, დააპურებდნენ და არასოდეს ღალატით არ შებღალავდნენ სტუმარმასპინძლის ურთიერთობას.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში ბევრგან დასტურდება ს ა ს ტ უ მ რ ო ს ა ხ ლ ი ს ა ნ ს ა ს ტ უ მ რ ო ო თ ა ხ ი ს არსებობა, რაც, თავისთავად ცხადია, მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად სერიოზულად და ყურადღებით ეკიდებოდნენ მთიელები სტუმრის მიღება-დახვედრას.

საცხოვრებელი ფართობი მთიელთა სახლში დაყოფილი ჰქონდათ მამაკაცებისა და ქალებისათვის ცალ-ცალკე. მამაკაცების ნაწილში ხშირად ცეცხლის (ცერის) პირას იღებდნენ მხოლოდ სტუმარ მამაკაცებს და საჭიროების შემთხვევაში იქვე ათავსებდნენ, სტუმარ ქალებს კი ქალები მასპინძლობდნენ თავიანთ ნაწილში.

როგორც ცნობილია, თუშური სახლი სამი სართულისაგან შედგებოდა: სულ დაბლა საქონელი იდგა, შუა სართულზე ოჯახი ცხოვრობდა, ხოლო მაღლა იყო „სასტუმრო ოთახი", სადაც იდგა ნოხით, ტყავითა და მუთაქებით გაწყობილი მეკი (ხის ტახტი) [21, 100—101]. მოსულ სტუმარს თუში მასპინძელი აქ აბინავებდა ხოლმე. თუშები აძ ოთახს, ზოგჯერ, ახალდაქორწინებულებსაც უთმობდნენ. მსგავს წესს ოსებთანაც ვხვდებით [17, 116].

ფშავშიც სტუმარს ცალკე მოასვენებდნენ. ორსართულიან სახლში სტუმარს მეორე სართულზე ათავსებდნენ, სადაც საგანგებოდ გაკეთებული მოჩუქურთმებული ტახტი იდგა. უგებდნენ ჭრელ ფარდაგებს, ზევიდანაც ფარდაგს ახურავდნენ.

„სასტუმრო სახლის" არსებობა დადასტურებულია სვანეთშიც. აქ ყველა სახლს უნდა ჰქონოდა მიდგმული „გუბანდი" (სასტუმრო) და კოშკი [25, 67]. რაჭაში, ძველად, მთელ გვარს ერთი საერთო სასტუმრო ჰქონია. მოგვიანებით სასტუმრო ოთახები ცალკეულ ოჯახებსაც გაუწყვიათ, რასაც დიდი ოჯახების გაყოფას უკავშირებენ [28]. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში კი არსებობდა საერთო (სასოფლო უსასყიდლო სასტუმრო) ქარვასლების შენების ტრადიცია [38, 64].

აფხაზეთში, რაც უნდა ღარიბი ყოფილიყო კაცი, ფაცხა ორი უნდა ჰქონოდა: „ერთი — სასტუმროდ და მეორე — სა-

ჯალაბოდ და თავის საცხოვრებლად. მთელი ყურადღება აფხაზს სასტუმრო ფაცხისათვის აქვს მიქცეული... რამდენიმე ხელი ლოგინი მხოლოდ სტუმრისათვის არის შეკერილი. აფხაზისათვის დიდი სირცხვილია სტუმარს ვერ დაუხვდეს. ვერ გაუმასპინძლდეს და ღამე ვერ გაათენებინოს...“ [29, 311]. თ. სახოკიას დაკვირვებით, მაჰმადიან აფხაზთა ტრადიციით, სასტუმროს ფუნქციას ასრულებდა თვით ეზოში დასაფლავებულის სულის სახსენებლად სხვაგან აშენებული ფარდული — ა ბ ა ყ ა ც კი. აბაყა განსაკუთრებით ეწყობოდა სოფლის მოშორებით, სადაც გზა იყრება. ზოგ ჭირისუფალს ისე სწამდა თურმე აბაყასი, რომ შიგ სასმელ-საჭმელს სტოვებდა, რათა დამშეული მგზავრები დანაყრებულიყვნენ [29, 314].

აჭარაშიც, ყველა სოფლის შესასვლელთან აუცილებლად იდგა ხის დაბალი მხარნახევრის სიმაღლის ჯარგვალი — სოფლის სასტუმრო, უსასყიდლო [29, 114]. მიგვაჩნია, რომ სოფლის განაპირას საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დადასტურებული „სასტუმრო სახლები“ შედარებით გვიანდელი წარმონაქმნი უნდა იყოს და პირველყოფილი თემური საზოგადოებიდან არ უნდა მომდინარეობდეს. შესაძლებელია, ისინი გაჩენილიყვნენ სახელმწიფოში არსებული სასტუმრო-ქარვასლების წაბაძვით. საერთოდ, სოფლად „სასტუმრო სახლების“ არსებობა ქართველ ხალხში სტუმართმოყვარეობის და სტუმარმასპინძლობის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს.

ჩრდილოეთ კავკასიაში ყველგან სასტუმრო სახლები — საყონაღოებია გავრცელებული. მათი მოწყობილობაც მასპინძლის მატერიალურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ასეთი „სასტუმრო სახლი“ ჩერქეზებში აღწერილი აქვს ს. ჯანაშიას. ბალყარელის მთელი ოჯახი (როგორც კაცები, ისე ქალები და ბავშვები) ერთ დიდ დარბაზში ცხოვრობდა, ხოლო სტუ-

მრის ოთახი ცალკე იყო გამოყოფილი [46, 123] და მხოლოდ მისთვის იყო მუდმივად გამზადებული. ეს კი ნათლად წარმოგვიჩენს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა უბრალო ბალყარელის ოჯახში სტუმარს.

საერთოდ, ჩრდილოეთ კავკასიის თითქმის ყველა ხალხში გავრცელებულ საყონაღოს, მ. კოსვენის დაკვირვებით, ჰქონდა უფრო ფართო გამოყენებაც. იგი ერთდროულად იყო სასტუმროც, ოჯახის უფროსის სამყოფელიც, მამაკაცთა თავშეყრის და უცოლოთა გართობისა თუ შეხვედრის ადგილი [58. 128—129], რაც ხაზს უსვამდა ამ კომპლექსის არქაულობას.

სტუმრისთვის განკუთვნილი ოთახი ან შენობა განსაკუთრებული გემოვნებით იყო მოწყობილი. ყველაფერი საუკეთესო და ძვირფასი სასტუმრო ოთახისათვის იყო. სასტუმრო სახლი იდგა ყველა სხვა სამეურნეო და საოჯახო ნაგებობისაგან განცალკევებით]55, 24[. სასტუმრო სახლის კარები არასოდეს იკეტებოდა. მასში შესვლა, ღამის გათევა და სტუმრის ყველა პრივილეგიით სარგებლობა შეეძლო ნებისმიერ მგზავრს — სტუმრისა და მასპინძლის ადრეულ დამოკიდებულებას და განწყობას ამ დროს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგანაც სტუმრის გამოჩენასთან ერთად, ძალაში შედიოდა მთის უწმინდესი კანონი — სტუმართმოყვარეობის ტრადიცია.

* * *

სოფელში უცხო სტუმრად ის ითვლებოდა, ვისაც მასპინძელი არ ჰყავდა. ასეთ სტუმარს ყოველთვის ჰქონდა იმედი, რომ სადაც არ უნდა დაღამებოდა, ყველგან გაუწევდნენ მასპინძლობას და ღამესაც ყველგან გაათევინებდნენ.

ხევსურეთში, თუ მგზავრს რომელიმე სოფელთან შემოაღამდებოდა, იქ მივიდოდა, სადაც „საფეხნო“ (მამაკაცების თავყრილობის ადგილი) იყო. დამხვდურნი ფეხზე წამოდგომით მიეგებებოდნენ ახალმოსულს. მისალმების შემდეგ, როდესაც შეამჩნევდნენ, რომ მგზავრი უცხოდ იყო მოსული და მასპინძელი არ ჰყავდა, ცხენს ჩამოართმევდნენ და ბავშვს გაატანდნენ რომელიმე ოჯახში. რამდენიმე ხანი სტუმარი „ფეხონს“ ესაუბრებოდა. გამოკითხავდნენ სადაურობას, მოსვლის მიზეზს. როდესაც სახლებში წასვლის დრო მოაწევდა, ყველა ცდილობდა თავისთან წაეყვანა სტუმარი. ხშირად გამარჯვება იმას რჩებოდა, ვისთანაც მგზავრის ცხენი იყო მიყვანილი [26, 232].

ხევსურთა და სხვა ქართველ მთიელთა ყოფაში სტუმრის მიღება საყოველთაოდ გავრცელებულსა და უპირველეს მოვალეობას შეადგენდა. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ გარდა სახელისა, სტუმართმოყვარეობა ეკონომიურადაც სასარგებლო იყო, რადგან სტუმარს თან ჰყვებოდა ბარაქა და, ამდენად, სტუმრიანი ოჯახი არასოდეს გაღარიბდებოდა. რასაც სტუმარი აკლებდა თავისი ხარჯით, მასპინძელს ღმერთი ერთიორად ასაჩუქრებდა ბარაქით. ხევსური ამბობდა: „სტუმარი, რომ ოჯახში შედის პირველად, იტყვის: „აგაშენოთ ღმერთმა“, წინ რომ სუფრას დაუდგამ, იტყვის: „ღმერთო ააშენე მასპინძელი“. პირველ ლუკმას რომ აიღებს, იტყვის: „ღმერთო შეეწიე მასპინძელს, ააშენე მისი ოჯახი“, ბოლო ლუკმას რომ აიღებს: „ღმერთო კარგათ ამყოფე მასპინძელი“, ძილათ წასვლის დროს იტყვის: „ღმერთო ადღეგრძელე მასპინძელი“. შინ წასვლისას იტყვის: „ღმერთმა ჯვარი დაგწეროთ მშვიდობით, რაც მე მოგაკელით, ღმერთმა მოგიმატოთ“. და, აი, ამდენჯერ სტუმარი მასპინძელს ლოცავს და „ჰაი, ჰაი კარგია სტუმარი და ბარაქას აძლევს მასპინძელსაო“ [40].

შინ მოსულ სტუმარს ოჯახი გამოეგებებოდა, მისალმების შემდეგ ეტყოდნენ მისი ცხენი როგორ ბალახზე და სად იყო დაბმული. სახლში შეპატიჟების შემდეგ, ოჯახის უფროსი მამაკაცი კიდევ რამდენიმე ხანი საუბრით იქცევდა სტუმარს, სანამ დიასახლისი საკადრის ვახშამს დაამზადებდა.

თუ სტუმარმა წესი იცოდა, თვითონვე მოიხსნიდა იარაღს, სახელდობრ, ხმალს, თოფს და დიასახლისს ან ოჯახის უფროს მამაკაცს ჩააბარებდა. აღსანიშნავია, რომ იარაღის მასპინძლისათვის ჩაბარების წესი გავრცელებული იყო არა მარტო საქართველოში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებშიც. ეს ჩვეულება ტრადიციისა და მასპინძლის პატივისცემას წარმოადგენდა და ამავე დროს სტუმრის მხრივ ნიშნავდა ჟესტს, რომ ის სამშვიდობოდ და სამეგობროდ იყო მოსული.

პირველად სტუმარი რომ დაჯდებოდა, ამ ოჯახის წევრი ქალი ან ვაჟი ფეხსაცმელს გახდიდა, თათებს ჩააცმევდა და ტყავსაც მოახურავდა. ვახშამზე სტუმარს მიართმევდნენ ხინკალს, კეცეულს, ფაფას ან ხორცის ყაურმას. სუფრას ტაბლაზე შლიდნენ. სუფრის თავში, სტუმრის გვერდით, ოჯახი უფროსი მამაკაცი ჯდებოდა. დიასახლისი იქვე ტრიალებდა, რომ დროზე მიექცია ყურადღება საჭიროების შემთხვევაში. ყველა დიასახლისი ვალდებულია ქმარი „დაანამუსოს", ე. ი. ძვირად უნდა უღირდეს ქმრის ნამუსი. უნდა კარგად დაუხვდეს და გაუმასპინძლდეს სტუმარს, გულუხვობა გამოიჩინოს [26, 10, 108]. როდესაც ოჯახში სტუმარი იყო, ბავშვები თითქმის არ ჩანდნენ. აკრძალვის გარდა, მათ თვითონაც ეხათრებოდათ სტუმართან გამოსვლა.

სტუმარი თუ ძალიან პატისაცემი იყო, ან ასაკით უფროსი აღმოჩნდებოდა, მასპინძელი ცალ მუხლზე დაიჩოქებდა და ქუდმოხდილი ემსახურებოდა მას. მუხლზე დაჩოქვით გამასპინძლების წესი, რაც ხევსურეთში მთხრობლებთან

,დავაფიქსირეთ, ცნობილია ეთნოგრაფიული ლიტერატურიდა-
ნაც. რაც შეეხება რ. ერისთავის ცნობას, სტუმრის წინ ქარ-
თველ მთიელთა ორივე მუხლზე დაჩოქების შესახებ [73, 129],
არც ერთი ეთნოგრაფიული მასალითა და ლიტერატურული
შონაცემებით არ დასტურდება.

ვახშმობის შემდეგ, კიდევ ცოტას ისაუბრებდნენ, შეიძ-
ლებოდა სიმღერით ან ლექსებით გაერთოთ სტუმარი, შემ-
დეგ კი მოასვენებდნენ. ყოველი ოჯახი თავისი შეძლების მი-
ხედვით იღებდა სტუმარს, ყველაფერი კარგი სტუმრის პატი-
ვისაცემად იყო განკუთვნილი.

მეორე დილით სტუმარს უჭმელს არ გაუშვებდნენ. საგ-
ზალს ხურჯინში ჩაულაგებდნენ, სასმელსაც აუცილებლად გა-
ატანდნენ. ცხენსაც შეუკაზმავდნენ და მცირე მანძილზე გა-
აცილებდნენ. სცოდნიათ სტუმრის სოფლის ბოლომდე გაცი-
ლებაც არყის სმითა და სადღეგრძელოებით. ამის შემდეგ
სტუმარი ამ ოჯახის კარგი მეგობარი ხდებოდა და ყოველთვის
ცდილობდა მათი პატივისცემის გადახდას.

სტუმარმასპინძლობის ტრადიციის მიხედვით, სტუმრობის
ვადა არ იყო რეგლამენტირებული. სტუმარს შეეძლო განუ-
საზღვრელი ვადით დარჩენილიყო და არავინ აგრძნობინებდა
მას, რომ რაიმეთი აწუხებდა მასპინძლის ოჯახს. მაგრამ და-
უწერელი წესის მიხედვით, სტუმარი ან ერთ ღამეს გაათევდა
და მეორე დღეს გაუდგებოდა გზას, ანდა თუ რაიმე მიზეზი ან
დამაბრკოლებელი გარემოება იყო, მესამე დღეს აუცილებლად
წავიდოდა. მასპინძელი ყოველთვის გულღიად სთხოვდა, რაც
შეიძლება მეტ ხანს დარჩენილიყო მის ოჯახში, მაგრამ იშვი-
ათად, რომ ვინმეს ანგარებით ესარგებლა მასპინძლის ასეთი
ერთგულებითა და პატივისცემით.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, როდესაც სტუმა-
რი თვითონ მიადგებოდა რომელიმე სახლს, ღამის გასათევის

ძებნაში, იგი დაუძახებდა მასპინძელს: — „ოჯახის პატრონო!“. თუ სახელი იცოდა, აუცილებლად კაცის სახელს დაიძახებდა. ქალის სახელის დაძახება სირცხვილი იყო და ცუდის მომასწავებლად ითვლებოდა. უმამაკაცო ოჯახში შეიძლება პატარა ბიჭის სახელიც კი დაეძახათ. [26, 8, 233].

თუ მამაკაცი სახლში არ იყო, ქალი იშვიათად უმასპინძლებდა უცხო სტუმარს, ან არ მიიღებდა და სხვასთან გააგზავნიდა, ან გარეთ დააცდევინებდა, სანამ კაცი დაბრუნდებოდა. მსგავსი წესი არ უნდა მივიჩნიოთ სტუმარმასპინძლობის წესის შებღალვად. შესაძლებელია ეს იმით აიხსნას, რომ მკაცრი იყო ხალხური მორალის ნორმები. ოჯახის ქალს არავინ მოუწონებდა უცხო მამაკაცთან მარტო ყოფნას, თუნდაც ეს სტუმართმოყვარეობით ყოფილიყო გამოწვეული. უკაცოდ ქალი მხოლოდ ნათესავს, ან ოჯახის მეგობარს მიიღებდა.

შემთხვევით შემოსწრებულ სტუმარს არაფერი მოჰქონდა მასპინძლის ოჯახში, მაგრამ თუ მგზავრობიდან არაყი ჰქონდა შემორჩენილი, აუცილებლად გაუმასპინძლდებოდა ოჯახის უფროსს. სტუმარს მასპინძელი მეზობლებს დაუპატიჟებდა ისე ავახშმებდა. ამის შემდეგ კი მეზობლები გადაიპატიჟებდნენ თავ-თავის სახლებში და ახლა იქ სცემდნენ პატივს. ხევსურები ამ წესს „გაწევას“ ეძახდნენ [52, 214].

ყველა მთიელი მოწადინებული იყო პირნათლად გაძღოლოდა მასპინძლის წმინდა მოვალეობას, თანაც ცდილობდა სტუმრის თვალში ხაზი გაესვა ოჯახის მატერიალური მდგომარეობისათვის და რაც ჰქონდა იმაზე მეტიც კი ეჩვენებინა მისთვის. სტუმრის მიღებისას აშკარად ჩანს, თუ როგორ უფრთხილდებოდნენ მთიელები თავისი ოჯახის ღირსებას და სახელს. არანაკლები ზრუნვით იცავდნენ ისინი სოფლისა და თემის სახელსა და ღირსებას. ამის კარგი მაგალითია ის ფაქტი, რომ

ვერც ერთი ხევსური გზად, რომელიმე სოფელზე ცხენზე ჰჯდომი ვერ გაივლიდა. სოფლის თავში უნდა ჩამოსულიყო ცხენიდან და ხელით გაეტარებინა იგი სოფლის ბოლომდე [40, 56]. ასეთი საქციელის შემდეგ იგი დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ ყველგან გულითად შეხვედრას და პატივისცემას მიიღებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მგზავრს უნდა გაეფრთხილებინა სოფლელები, რომ ავად ან „მაწმინდარი“ (ხატის მსახური კაცი, წმინდანი) იყო.

ბარელი კაცის სტუმრობას მთაში ის თავისებურება ახლდა თან, რომ ბარელ სტუმარს ხშირად აძლევდნენ ხორცს, ერბოს, რძეს და თავისებური წესით საჭმლის მომზადებას სთავაზობდნენ. ასეთ სტუმარს მთაში გავრცელებული წესების შესრულებას არ სთხოვდნენ. მას. თითქმის ყოველთვის, დიდი პატივით აცილებდნენ, თითქმის მთელი სოფელი გამოეყვეზოდა სოფლის ბოლომდე; მოჰქონდათ სასმელი, სვამდნენ, გზას ულოცავდნენ, ადღეგრძელებდნენ. მასპინძელი ხშირად მეორე სოფლამდე გაჰყვებოდა და იქ ვინმე თაღის ახლობელს ან მეგობარს გადააბარებდა სამასპინძლოდ [26, 234]. სოფლის ერთობლივი მოქმედება, რა თქმა უნდა, ტერიტორიული (სამეზობლო) თემის პროდუქტია.

უცხო სტუმრის გამასპინძლების აღწერილი წესი — უფლება უცხო მგზავრისა — გაჩერებულიყო ნებისმიერ სახლში, როგორც სტუმარი, და მასპინძლის მოვალეობა — უზრუნველეყო იგი აუცილებლით, წარმოადგენდა კავკასიის მთიელთა სტუმართმოყვარეობის უპირველეს ნიშანს.

მასალების შესწავლის შემდეგ. ნათლად გამოიკვეთა როგორც მსგავსი, ისე განსხვავებული მხარეებიც. ყველაზე მეტი თავისებურება ამ მხრივ თუშეთს აღმოაჩნდა. სტუმარმასპინძლობის ტრადიციებში უფრო მეტი საერთო და მსგავსი წესე-

ბი შეინიშნება ფშავსა, ხევსურეთსა და გუდამაყარს შორის. ეს გასაგებიცაა თუ თითოეული ამ კუთხის ეთნოისტორიულ თავისებურებებს მივიღებთ მხედველობაში.

ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებიც განსაკუთრებული ყურადღებით იღებდნენ უცხო სტუმარს. ი. კლაპროტის აღნიშვნით, ოსები ისე ეპყრობოდნენ უცხოელს, როგორც ნათესავს [51, 127]. ვახუშტის ოქმით კი ოსებმა „უწყიან უცხოთა სტუმართა პატივი და უენებლობით დ ა ც ვ ა ნ ი, რამეთუ ვერავინ რ ა ჲ ს ა ავნებს ერთისა ვისმე სტუმარსა, ვინაჲთგან მოსწყდებიან მისთჳს გუარით არამედ თჳთ გამოუხმენ, რაოდენნი ძალ უცს სტუმარსა, და ამას უწოდებენ საჩუქარსა, რომელიცა ჯერ არს მათგან, იგინივე მიუხმობენ" [11, 640].

ჩვენი მასალებით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, თუშურ ოჯახში ქალი, თითქოს, შედარებით, მეტი დამოუკიდებლობით სარგებლობდა. უცხო სტუმარს, მამკაცის სახლში არყოფნის დროსაც, ქალი თამამად მიიღებდა. ეს წესი, გამასპინძლებისა, შედარებით გვიანდელი უნდა იყოს, მას შემდეგ წარმოქმნილი, რაც თუშებმა ინტენსიურად დაიწყეს მთაბარულ მეცხვარეობაზე გადასვლა, რაც თავისთავად ბევრი მამაკაცის ოჯახიდან მოწყვეტას იწვევდა. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ აღგილი მაინც ჰქონია აშკარა კომპრომისს — სტუმრის სახლში შეყვანის შემდეგ, თუში ქალი ეძახდა მეზობელ მამაკაცს, რომელიც სუფრაზე მასპინძლობას გაუწევდა უცხო სტუმარს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მსგავსად, საქართველოს სხვა კუთხეებშიც სტუმრის შეპატიჟება მამაკაცის (ოჯახის უფროსის პრივილეგიად ითვლებოდა. აფხაზისათვის საკმარისი იყო თვალი მოეკრა სოფლის გზაზე მიმავალი უცნობისათვის, რომ მასპინძლობა და ღამის გასათევიც შეეთავაზებინა [50, 12—13]. გურული გლეხი კი პატივად ჩასთვლი-

და, თუ ცოტა ხნით მაინც მოისვენებდნენ და პურსაც გატეხავდნენ მის სახლში [41, 14]. ასეთივე წესი არსებობდა ჩეჩნებსა და ინგუშებში [18, 94]. ასევე იყო ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებშიც. აქედან ნათელია, რომ ოჯახის უფროსი მამაკაცის უფლებები სტუმრის დახვედრისას, ოდნავი განსხვავებით, საერთოა არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისათვის, არამედ კავკასიის მთელი მოსახლეობისათვისაც. ეს განპირობებული იყო უფროსი მამაკაცის უფლებამოსილებით, ტერიტორიული სიახლოვითა და მჭიდრო ურთიერთკონტაქტებით, რომელიც ჰქონდა იმხანად საქართველოს მთიანეთის მცხოვრებლებს და კავკასიის სხვა ხალხებს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში სტუმარი მასპინძელს იარაღს ჩააბარებდა. მასპინძლის მიერ იარაღის ჩამორთმევით, ეს უკანასკნელი თავის თავზე იღებდა სტუმრის უსაფრთხოებაზე ზრუნვას, ხოლო, მეორე მხრივ, თავს იზღვევდა უცხო კაცის სტუმრობისას რაიმე მოსალოდნელი საფრთხისაგან.

ჩვენს მთაში სტუმარს აუცილებლად გამოჰკითხავდნენ ვინაობას, შეეცდებოდნენ გაეგოთ სტუმრის მოსვლისა და, საერთოდ, მგზავრობის მიზანი. ჩრდილოეთ კავკასიაში კი პირიქით, სტუმრისათვის ვინაობის გამოკითხვა უტაქტობად ითვლებოდა [51, 132]. სამაგიეროდ, თუ საქართველოში სტუმარს არ ჰქონდა არავითარი შეზღუდვა და მას შეეძლო ნებისმიერი მიმართულებით გადაადგილება (გარდა საქალაქო ნახევრისა), ჩრდილოეთ კავკასიაში სტუმარი საყონაღოს კედლებს ვერ გასცდებოდა. ეს შეიძლება ის „საფასური“ იყო, რომელსაც მასპინძელი თავისი ცნობისმოყვარეობის შეზღუდვისათვის ითხოვდა, ან არ უნდოდა, რომ მისთვის სრულიად უცნობი პიროვნება მის ოჯახურ საქმეებში ჩარეულიყო.

ოჯახის პატარძალი ან უმცროსი ქალიშვილი სტუმარს ფეხზე გახდიდა, დაბანდა და სუფთა წინდებს ჩააცმევდა. ფე-

ხის დაბანა მთაში პატივისცემის უმაღლეს გამოვლინებად ითვლებოდა. ეს წესი აღმოსავლეთ საქართველოს მთაში თუშეთისა და გუდამაყრისათვის იყო დამახასიათებელი. მსგავსი წეს-ჩვეულება ყოფილა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს ბარისა და მთის კუთხეებშიც [29, 274, 28, 62]. სტუმრისადმი უმაღლესი პატივისცემის ეს წესი გავრცელებული ყოფილა არა მარტო კავკასიაში [18, 94; 53; 197], არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში [59; 11—15].

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სტუმრის გამასპინძლება იცოდნენ იმით, რაც ოჯახში გააჩნდათ — სტუმარს უმზადებდნენ ხინკალს, ხავიწს, კოტორს (თუშური ხაჭაპური), ანტრიას (უგულო ხინკალი), ასმევდნენ ლუდს და არაყს. გავრცელებული იყო ერბოიანი ყვაჲს დამზადება (თუშეთი). თუ სტუმარი ისეთ დროს მოვიდოდა, რომ მასპინძელს არაყი არ ჰქონდა გამოხდილი, მეზობლები ჩუმად შეეწეოდნენ (განსაკუთრებით თუშეთში) ისე, რომ სტუმარი ვერაფერს მიმხვდარიყო, რაც, რა თქმა უნდა, ახლომეზობლური ურთიერთობის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენდა. ურთიერთდახმარებისა და სესხების მსგავსი წეს-ჩვეულება თ. სახოკიას დადასტურებული აქვს აჭარაშიც. მეზობლებს შორის აღნიშნული ურთიერთობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ მეზობლები ზრუნავდნენ არა მარტო სტუმრის კარგად გამასპინძლებაზე, არამედ მათთვის არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ მათი თანასოფელი პირნათლად გაძღოლოდა მასპინძლის საპასუხისმგებლო მოვალეობას და პირი არ შეეცცხვინა სტუმართან. განსაკუთრებულად საპატიო სტუმრები სათემო სტუმრებად ითვლებოდნენ. აღწერილი წეს-ჩვეულების გენეზისი, რა თქმა უნდა, ისტორიის ადრეულ ეტაპებზე უნდა ვეძიოთ, როდესაც გვაროვნულ თემს ტერიტორიული (სამეზობლო, სასოფლო) თემი სცვლიდა.

სუფრა ხონჩაზე იშლებოდა. სტუმრისათვის საპატიო ადგილი იყო სუფრის თავში; არავითარ შემთხვევაში სტუმარს კარებისაკენ არ დასვამდნენ. ფშავში სტუმარს ოჯახის პატრონის გვერდით ეკუთვნოდა ადგილი, რომელიც სუფრის თავში თვითონვე ჯდებოდა. თითქმის ყველგან სტუმარი ოჯახის უფროსის გვერდით იჯდა. ოჯახის დანარჩენი წევრები ან ფეხზე იდგნენ ან საერთოდ არ ჩნდებოდნენ სტუმართან. თუშეთში დადასტურდა საინტერესო ფაქტი: სუფრაზე სასმელს ქალები ასხამდნენ და აწვდიდნენ პირველად ოჯახის უფროსს. ასეთივე წესი ფშავში დაუდასტურებია ს. მაკალათიას [22, 97], თუმცა ჩვენ იგი ვერ დავაფიქსირეთ. დღევანდლამდე ეს წესი (თუ მას მართლაც ჰქონდა ადგილი ფშავში) მოღწეული არ არის. ჩრდილოეთ კავკასიაში ქალების მწდეებად დადგომის ფაქტის არსებობა გამორიცხული იყო, რადგან ქალები საერთოდ ერიდებოდნენ სტუმარს. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა და ჩრდილო კავკასიის მთიელთა აღნიშნული წესჩვეულების დიამეტრალურად განსხვავებულობა, რა თქმა უნდა, სარწმუნოებრივ-რელიგიური მომენტით უნდა აიხსნას და ჩრდილოეთ კავკასიაში სტუმრისადმი ქალის მორიდება აქ მოგვიანო პერიოდში ისლამის გავლენა უნდა იყოს.

რაც უფრო ღირსეული იყო სტუმარი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები (განსაკუთრებით ფშაველები და თუშები) მით უფრო მეტად ცდილობდნენ მასპინძლის ოჯახის სრულ შემადგენლობას (ხშირად მთელ სოფელსაც) საუკეთესო პატივი ეცა მოსულისათვის. გართობის ჩვეულებრივი სახე იყო საუბარი, ლექსობა, სიმღერები. სიმღერებში ამკობდნენ სტუმარს ან მის წინაპრებს, თუ გვარში სახელგანთქმული ვინმე ჰყავდათ. ქალები „ბუზიკას“ (გარმონი) უკრავდნენ, კაცები — ჩონგურზე. თუშებში პატივისცემის ერთ-ერთი ყვე-

ლაზე საპატიო ფორმა იყო „აჯია“. მასპინძლის ოჯახი სტუმარს „აჯიობას“ უმართავდა, ე. ი. დაუპატიჟებდა მეზობლებს და გამართავდა ქეიფს. ქეიფის შემდეგ, სტუმრის სოფელში ყოფნის დროს, დაპატიჟებული მეზობლები თავის მხრივ აუცილებლად პატიჟებდნენ მასპინძელს თავის სტუმართან ერთად და ახლა თავის სახლში უმართავდნენ „აჯიას“. ამ წესში პირველ რიგში, ჩანს დიდი პატივისცემა და ყურადღება, რომლითაც თანასოფლელები ეპყრობოდნენ ერთმანეთს, იქამდე, რომ თავი ვალდებულად მიაჩნდათ პატივი ეცათ მეზობლის სტუმრისათვისაც. ამავე დროს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ თუშური „აჯიას“ წეს-ჩვეულება გვაროვნული თემიდან სამეზობლო ტერიტორიულ თემზე გადასვლის პროცესში წარმოქმნილი პროდუქტი უნდა იყოს. მისი ბოლო დრომდე შემონარჩუნება კი იმის დამადასტურებელია, თუ რაოდენ ძლიერად იყო ჩვენს მთაში შემორჩენილი თემური წყობილების ელემენტები.

საერთოდ, თუშეთში „აჯჰია“ დღესასწაულსაც ერქვა და დღეობებსაც. შეიძლება დავუშვათ, რომ ეს ტერმინი გამასპინძლების წესი კი არ არის, არამედ დღესასწაულებზე ურთიერთობის მიღებული და დაკანონებული ფორმაა. შემდეგში კი ამ წესმა (თუ უბრალოდ ტერმინმა) საოჯახო ყოფაშიც გადაინაცვლა, განიცადა სათანადო სახეცვლილებები და სხვა სოციალური ინსტიტუტის შემადგენელი ელემენტი გახდა. სტუმრის საპატივცემულოდ არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მართავდნენ ლხინს და პატიჟებდნენ მეზობლებს, მსგავსი ჩვეულება ჰქონდათ გურიაშიც. აქ უცნობ თუ ახლობელ სტუმარს შესაქცევად აუცილებლად უპატიჟებდნენ მეზობლებს, მომლხენს, ჩონგურის დამკვრელს და დამღიღინებელს, ენაწყლიან მოსაუბრეს [41, 7—8]. ეს მოვლენა კავკასიის მასშტაბით მხოლოდ საქართველოსთვის იყო დამახასია-

თებელი. ჩრდილოეთ კავკასიაში მეზობლების მიერ სტუმრის გადაპატიჟება და ამითი მისი და მასპინძლის პატივისცემის ამგვარი ფორმა ვერ იარსებებდა. ეს განპირობებული იყო იმით, რომ სტუმარს არსებული წესის თანახმად, არა თუ „საყონაღოს“ (სასტუმროს) დატოვება, არამედ მის კედლებში თავისუფლად სიარულიც არ შეეძლო. ამიტომ, ზედმეტი იყო ლაპარაკი სტუმრის გადაპატიჟებაზე.

თითქმის ყველგან, მთაში სტუმრის პატივისცემის დონე მისი სქესისაგან იყო განპირობებული. სტუმარი მამაკაცი მეტი პატივისცემით სარგებლობდა, თუმცა სტუმარ ქალსაც არ აკლდა ყურადღება ქალების მხრივ.

მთიელი კაცი, მართალია, სტუმარს უდიდესი პატივით ეპყრობოდა, მაგრამ სტუმარსაც მოეთხოვებოდა გარკვეული წესებისა და ეტიკეტის დაცვა, რომლებიც მთის ამა თუ იმ კუთხისათვის იყო დამახასიათებელი. ერთი ასეთი მოვლენა ზემოთ უკვე გვქონდა დასახელებული (ხევსურეთში სოფელზე ცხენით გავლის აკრძალვა).

მასპინძლის ზრუნვა სტუმრისადმი ჩანს, აგრეთვე, შემდეგი თუშური მასალიდან: „ბუსურმანები (იგულისხმებიან ჩრდილოეთ კავკასიელი მაჰმადიანი მთიელები — მ. მ.) ჩვენს დაკლულს არ სჭამდნენ. თუ საკლავი მარჯვედ იყო, იქვე თვითონ დააკვლევინებდნენ სტუმარს და მასპინძელი მოუმზადებდა“.

შედარებით განსხვავებული წესით სრულდებოდა მეგობრის ან ნათესავის მიღება. ამ დროს მასპინძლის ოჯახში სუფევდა ორმაგი სიხარული — სტუმრის მოსვლით გამოწვეულ მასპინძლის სიხარულს ზედ ერთვოდა ძვირფასი და საყვარელი ადამიანის ნახვით გამოწვეული სიამოვნება. ამ დროს სტუმარიც შედარებით თავისუფლად იქცეოდა, მაგრამ არასოდეს გადადიოდა ზღვარს, რითაც იცავდა ოჯახისადმი ღრმა

პატივისცემას და სიყვარულს. ძმობილი ძმობილს ასე არ გაუშვებდა, რომ ვინმე ქალი არ მოეყვანა მასთან და არ დაეწვინა. ეს წესი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთაგან, მხოლოდ ხევსურეთისათვის იყო დამახასიათებელი. ასევე ნათესავი ქალებიც თავისუფლად დაწვებოდნენ თავისი ძმის ან ბიძაშვილის ძმობილთან. სტუმრისადმი პატივისცემის ეს მოვლენა ზოგიერთ სამეცნიერო და სხვა სახის ლიტერატურაში არეულია ხევსურულ სწორფრობასა და ფშაურ წაწლობასთან. ჩვენი აზრით, სტუმართან ქალის დაწვენის წესი არ უნდა იყოს გაიგივებული ფიზიკური ურთიერთობის ამგვარ სახესთან. როგორც ერთი, ისე მეორე წესი სრულიად განსხვავებულ ეთნოგრაფიულ მოვლენებს წარმოადგენდა. თუმცა თავისი არსით სწორფრობა (წაწლობა) უაღრესად რთული სოციალური მოვლენაა და სტუმართან ქალის დაწვენის წესი შესაძლებელია თავდაპირველად სწორფრობის გარკვეული სახე იყო და თავისი განვითარებით ეს ორი მოვლენა დროთა განმავლობაში საკმაოდ დაშორდა ერთმანეთს. საერთოდ, სტუმრისათვის ქალის დაწვენა მისდამი უდიდესი პატივისა და ამავე დროს უდიდესი ნდობის გამომხატველი მოქმედება უნდა ყოფილიყო. სტუმართან ღირსეულად თავის დაჭერა, ნამუსის დაცვა და წესების შესრულება დიდი ღირსება იყო როგორც ქალისათვის, ისე მისი ძმობილისათვს, რომელიც სტუმარს თავის „ნადობს" დაუწვენდა.

აღსანიშნავია, რომ უცხო ტომის კაცთან, რაც უნდა საპატივცემულო სტუმარი ყოფილიყო, არცერთი ხევსური ქალი არ დაწვებოდა.

ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ძმობილი რაიმეს აჩუქებდა ძმობილს მეგობრობის ნიშნად: ხანჯალს, სპილენძის ქვაბს, ხანდახან ხბოსაც კი. მეგობარს უფლება ჰქონდა უარი

ეთქვა საჩუქარზე და ამით თავიდან აეცილებინა საპასუხო საჩუქრის გაღების ვალდებულება. როგორც ჩანს, ამ წესსაც ფესვები გადგმული აქვს პირველყოფილი კულტურის ფენებში. ჯერ კიდევ განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ტომები თავს ვალდებულად თვლიდნენ მეორე ტომის კუთვნილ ტერიტორიაზე მისვლისას თან მიეტანათ თავისი ნახელავი ან ნადავლი. ამით ისინი ანაზღაურებდნენ მასპინძლის მიერ გაღებულ ხარჯებს [57, 141—142]. დროთა განმავლობაში კი ამ ტრადიციამ მხოლოდ ღრმა პატივისცემის გამოხატულების დანიშნულება მიიღო. ი. ივანოვას მიერ ეს დეტალი შემდეგნაირადაა ახსნილი: — „სტუმარ-მასპინძლობის ინსტიტუტი წარმოადგენს ნათესაური კოლექტივის უფლება-მოვალეობას მიიღონ უცხო პიროვნება, როგორც თავისი კოლექტივის სრულუფლებიანი წევრი. კავკასიელ მთიელებში გავრცელებულია სტუმრის რაიმე ნივთით დასაჩუქრების ჩვეულება. დღესდღეობით ეს სტუმრის პატივისცემის ნიშნად არის აღიარებული, მაგრამ სავარაუდოა, რომ ეს სტუმრის ოჯახის სხვა წევრებთან თანაბარი ქონებრივი უფლებების გადმონაშთია [53, 233]. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ საჩუქარი თავდაპირველად წარმოადგენდა ოჯახში ან გვარში ყოველი წევრის მიერ შესატან წილს. სტუმარს, როგორც ოჯახის დროებით წევრს, თავისი წილი შეჰქონდა ოჯახის მატერიალური დოვლათის გასამრავლებლად და თვითონაც ტვირთად არ აწვებოდა მასპინძელს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის თითქმის ყველა კუთხეში დადასტურდა საპატიო სტუმრად ვინ ითვლებოდა — ეს იყო ბიძა (დედის ძმა), რომელიც ყოველთვის საგანგებო პატივისცემისა და ყურადღების ობიექტი ხდებოდა. საერთოდ, დედის ძმის განსაკუთრებული პრივილეგირებული მდგომარე-

ობა საქართველოში ჩანს არა მარტო სტუმარ-მასპინძლობის წეს-ჩვეულებებიდანაც, არამედ სხვა ქართული სოციალური ინსტიტუტებიდანაც (სისხლის აღება, მიცვალებულის კულტი, ქორწინება). დედის ძმის ასეთი პრივილეგირებული მდგომარეობა მატრილინეური ხაზის პრიორიტეტის ნაკვალევს უნდა წარმოადგენდეს. ასეთივე პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა დედის ძმის ოჯახში სტუმრად მისული დისწული.

საჭიროა საგანგებოდ შევჩერდეთ მასპინძლის კიდევ ერთ მოვალეობაზე სტუმრის მიმართ. სტუმარმასპინძლობის ტრადიცია დაფუძნებულია ურთიერთპატივისცემისა და დიდი ნდობის საფუძველზე. მასპინძელი მთელი გულითა და სულით იღებდა მისთვის სრულიად უცხო პიროვნებას თავის ოჯახში, უზიარებდა ლუკმას, ზრუნავდა მის დასვენებაზე და სიამოვნებაზე. სტუმარმასპინძლის მოვალეობის მხრივ, უმრავლესობა მასპინძლის წილზე მოდიოდა. სტუმარს რჩებოდა მხოლოდ მადლიერების გრძნობის გამოხატვა და საპასუხო ნდობის გამოცხადება მასპინძლისადმი. ეს სტუმრისა და მასპინძლის ქცევა-დამოკიდებულებაშიც აისახებოდა .სტუმარი ნდობას უცხადებდა მასპინძელს და მთელ იარაღს აბარებდა ოჯახის უფროსს სახლში შესვლისთანავე. იარაღის ჩამორთმევით მასპინძელი უსიტყვოდ იღებდა თავზე კიდევ ერთ მძიმე მოვალეობას — სტუმრის სიცოცხლის .დაცვას. უიარაღო სტუმარი შეიძლება მშვიდად ყოფილიყო, რადგან ყოველ მასპინძელს საკუთარ სიცოცხლეზე ძვირად უღირდა სტუმრის მცირედი ხელყოფაც კი.

საუკუნეების მანძილზე დაცინვით იხსენიებდა ხალხი პურაძვირ მასპინძელს, თაობების მანძილზე მიჰყვებოდა ეს სირცხვილი, მაგრამ ვერაფერი შეედრებოდა გაკიცხვას და შერცხვენას იმ მასპინძლისა, რომელიც ვერ შეძლებდა თავის ოჯახში მყოფი სტუმრის უსაფრთხოების დაცვას.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ყოველი მასპინძელი თავს მოვალედ სთვლიდა უსიამოვნებისას სტუმარს ამოსდგომოდა მხარში, თუნდაც ეს უკანასკნელი დამნაშავე ყოფილიყო.

ხევსურეთში მასპინძელი სტუმრის მხარეს იჭერდა ჩხუბში. თუ უსიამოვნების თავიდან აცილება არ მოხერხდებოდა, მასპინძელი მაინც სტუმრის გვერდით იქნებოდა და საჭიროების შემთხვევაში სიცოცხლესაც შესწირავდა. თუშეთში, ფშავში, მთიულეთში, მასპინძლის ოჯახში, ლხინის დროს, ვინმეს შელაპარაკება რომ მოსვლოდა სტუმართან, მასპინძელი აუცილებლად სახლიდან დაითხოვდა. სტუმრისათვის ყოველი შუღლის ამტეხი მთელი სოფლისაგან და უხუცესებისაგან დიდ საყვედურს იღებდა და კარგა ხანი დაცინვის ობიექტი ხდებოდა. რა თქმა უნდა, ამ ფაქტში სტუმრის დაცვისას თემის ერთობლივი მოქმედება ჩანს, ჩანს ის გარემოება, რომ ერთი ოჯახის სტუმარი ფაქტიურად მთელი თემ-სოფლის სტუმრად ითვლებოდა. თავისებური ტრანსფორმირებული ფორმით ჩვენამდე მოღწეული გვიან ყოფაში არსებული ეს წეს-ჩვეულებაც, თავისთავად ცხადია, პირველყოფილი თემური წყობილების დროსაა ჩასახული. იყო შემთხვევები, როდესაც სტუმრის ვერაგულად მოკვლისათვის თემს მოუკვეთია მკვლელი და სოფლიდან გაუგდია. დიდი სირცხვილი აწვებოდა დამნაშავის მთელ გვარს. მთის კანონის მიხედვით, ასეთი დანაშაულის გამოსყიდვა ერთ-ერთი ყველაზე ძნელი საქმე იყო.

სტუმრის მკვლელობის შემთხვევაში მასპინძელი და მთელი მისი გვარი მოკლულის ნათესავებზე ადრე იდილობდა სისხლის აღებას. შურისძიება ამ დროს მასპინძლის შელახული ღირსების აღდგენის საწინდარიც იყო. მ. კოვალევსკი ოსური სტუმართმასპინძლობის შესახებ აღნიშნავს, რომ იმდენად ძლიერი იყო ეს ტრადიცია, რომ მოსისხლე ოჯახში მტერი არა

მარტო ხელშეუხებელი ხდებოდა, არამედ მასპინძელი სტუმრის მოკვლის შემთხვევაში შურს იძიებდა სტუმრისათვის, როგორც საკუთარი ოჯახის წევრისათვის [55, 51—53; 67, 41].

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სტუმრის მოკვლა კი არა, წყენინებაც კი იშვიათი შემთხვევა იყო. ყოველი მთიელი ერიდებოდა მსგავსი დანაშაულის ჩადენას. არავინ არასოდეს არ შებღალავდა მასპინძლის ღირსებას, თუნდაც იმიტომ, რომ ადრე თუ გვიან, თვითონაც მასპინძლის მოვალეობის შესრულებისას ისევე საჭიროებდა მეზობლების პატივისცემას და ზოგჯერ დახმარებასაც კი. აღსანიშნავია, რომ შეხვეწილი სტუმარი (ამანათი), რომელიც მესისხლეებისაგან გამოქცეული უცხო სოფელში აფარებდა თავს, დიდი სიფრთხილით ჰყავდათ დაცული მასპინძლებს [19]. ამანათის თემში ხარ-ქვაბით შეყრის შემდეგ კი მისი სტუმრობის ხანა თავდებოდა და ისიც ისეთივე სრულუფლებიანი წევრი ხდებოდა იმ გვარისა და თემისა, როგორც ამ თემის მკვიდრნი [19].

თუ რაოდენ მაღალ დონეზე იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში სტუმარმასპინძლობა, კარგად ჩანს იმ წესიდანაც, რომ სახლში შემოსული მოსისხლეც კი ხელშეუხებელი ხდებოდა, რადგან იგი პირველ რიგში სტუმარი იყო და სტუმრისათვის საჭირო პატივისცემას მოითხოვდა. ასეთ დროს მასპინძელი იძულებული იყო შერიგებაზეც კი დათანხმებულიყო [6, 67].

ბევრ შემთხვევაში სტუმარმასპინძლობის ტრადიციის დაცვას მთიელები მეგობრობაზე მაღლა აყენებდნენ და სტუმრის შეურაცხყოფას, მით უმეტეს, მოკვლის სურვილს ან მცდელობას, ყოფილ თანამოაზრეს და თანამზრახველსაც არ აპატიებდნენ.

ნათელია, რომ დროთა განმავლობაში სუსტდებოდა სტუმრის, როგორც მასპინძელი კოლექტივის (ოჯახის) წევრად აღი-

არება. სტუმრის დაცვის აუცილებლობა გადაიქცა ღირსების საქმედ, გაძლიერდა ამ მოვლენის ემოციური მხარე. გულითადი მასპინძლობა პრესტიჟის საქმე გახდა, რადგან სტუმართმოყვარე ოჯახი დიდი პატივისცემით სარგებლობდა გარშემომყოფებში [53, 233]. სადღეისოდ კი სტუმართმოყვარეობა ჩვენი ხალხის „ვაჟკაცობის", „რაინდობისა" და „პატრიოტიზმის" ერთგვარ გამოვლინებად იქცა.

ასეთი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ოჯახში მოსული უცხო თუ ნაცნობი სტუმრის მიღება-გამასპინძლების წესები. ძირითადად მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის ამ მხრივ დამახასიათებელი იყო მსგავსი მოვლენების, წეს-ჩვეულებების არსებობა, ხოლო განსხვავება ამა თუ იმ კუთხეს შორის ნიუანსურ ხასიათს ატარებდა. შეინიშნება რიგი სპეციფიკური ნიშნებიც ქართველ და ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელთა სტუმარმასპინძლობის წესებშიც, თუმცა თითოეულ მათგანს მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური წესებიც ჰქონდა. აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა სტუმარმასპინძლობის წესებში მსგავსი ელემენტების არსებობა, ალბათ, ხანგრძლივი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის პირობებში ჩამოყალიბდა. აგრეთვე გასათვალისწინებელია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეტ-ნაკლებად თანაბარი დონე, რაც კავკასიის მთიანი კუთხეებისათვის იყო დამახასიათებელი. იმ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ქართველ მთიელთა სტუმარმასპინძლობის ფორმები რიგ განსხვავებას ამჟღავნებს საქართველოს ბარის ანალოგიურ ფორმებთან. ერთი ეთნოსის შიგნით არსებულ განსხვავებათა მიზეზები სოციალურ-ეკონომიკურია. განვითარებულ ფეოდალურ ბარს მთა თავისი საზოგადოებრივი განვითარებით ყოველთვის ჩამორჩებოდა და მისი ეს ჩა-

მორჩენა აპირობებდა ძველი სოციალური ინსტიტუტების (მათ შორის სტუმარმასპინძლობის) უფრო დიდხანს და მყარად შემონახვას.

* * *

ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ყოფის მნიშვნელოვან კომპონენტებს შორის საყოველთაოდ ცნობილია სტუმართმოყვარეობისა და გამასპინძლების დახვეწილი ტრადიცია. განთქმულია ქართველი კაცის თავაზიანობა, გულისხმიერება, სუფრის კულტურა და დიდი სურვილი — თავი არ შეირცხვინოს სტუმრის წინაშე, მასპინძლობაში გამოხატოს ყველაფერი კარგი, რაც ერს ტრადიციებისა და ადათების სახით საუკუნეების განმავლობაში დაუგროვებია. როგორც ძველად, ისე დღესაც მასპინძლის ყურადღებას, სითბოსა და სიყვარულს გრძნობს ყოველი უცხო პირი, ვინც კი ქართველი კაცის ოჯახში ხვდება სტუმრად. ყველა კუთხის ქართველებთან ერთად, თავისი უშუალობით, ქცევის სისადავითა და გულუხვობით გაითქვეს სახელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებმა. ისინი არ გამოირჩეოდნენ სტუმრის მიღების ცერემონიალით თავიანთი გულითადობის გამომჟღავნებაშიც ფორმალიზმს ნაკლებ ადგილს უთმობდნენ, მაგრამ სტუმარმასპინძლობის ტრადიციებს ყოველთვის სრული სიზუსტით იცავდნენ, გინდაც სტუმარი მასპინძლისათვის სასიამოვნო პიროვნება არ ყოფილიყო. ოჯახისადმი დახმარება და თანაგრძნობა განსაკუთრებით აშკარა ხასიათს ღებულობდა ქორწილის, რომელიმე დღესასწაულის ან გლოვის შემთხვევაში.

სპეციალური გამოკვლევებით ცნობილია, რომ საქორწინო ურთიერთობა რამდენიმე საფეხურს მოიცავდა და სავალ-

დებულო ,წეს-ჩვეულებათა შესრულებას გულისხმობდა. აღნიშნული ურთიერთობის ბოლო მომენტს წარმოადგენდა ქორწილი, როგორც მექორწინე მხარეთა შეთანხმების გამომხატველი რიტუალი [15, 45, 43, 7, 30]. ერთ-ერთ ასეთ სავალდებულო წესად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მიჩნეული იყო სტუმრის მოსვლა ქალის სათხოვრად. ქალის სათხოვრად მოსულები პირველ რიგში სტუმრები იყვნენ, სტუმრულად იქცეოდნენ და მასპინძლის ოჯახისაგანაც შესაბამის პატივისცემასა და ყურადღებას იღებდნენ. მასპინძელი სტუმრებს დაუპატიჟებდა მოკეთე-მეზობლებს. სტუმრები ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ხათრიანად იქცეოდნენ. ღამის გასათევად უხუცეს სტუმრებს სხვაგან გადაიწვევდნენ, ხოლო ახალგაზრდები ღამეს სიმღერასა და ლექსაობაში ატარებდნენ. წვებოდნენ გათენებისას. სარძლო ერთ-ერთ „ქმრეულთან" დაიძინებდა. სხვა მსურველებსაც შეურჩევდა წყვილებს და ერთად დააწვენდა. სტუმრები მესამე დღეს მიდიოდნენ, მათ სოფლის ბოლომდე აცილებდნენ. სარძლო თავისი სახლიდან შორს არ გააცილებდა, რადგან იგი ერიდებოდა უფროსი ქმრეულის ნახვას [26, 99—106]. ამის შემდეგ ქორწილისათვის მზადება იწყებოდა.

ხევსურულ ქორწილში ხშირი იყო გამოცდის მიზნით ნეფისათვის შუღლის ატეხა. ასეთი გამოცდის მოწყობა შეეძლო ქალის მაყარსაც და მოწვეულ სტუმრებსაც [26, 121]. ასეთი სახუმარო შუღლის გარდა, მიუხედავად მასპინძლების ყურადღებისა, შეიძლებოდა მომხდარიყო ჩვეულებრივი უსიამოვნებანი, რაც ზოგჯერ თან სდევს ნასვამი ხალხის თავყრილობას. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები ხშირად თვითონ იყვნენ დამნაშავენი, მასპინძელი, მოვალეობის მიხედვით, მაინც სტუმრების მხარეზე რჩებოდა. თუ ვინმე უდანაშაულო სტუ-

მარს აწყენინებდა, ასეთ შემთხვევაში მასპინძელი დამნაშავის სიცოცხლის ხელყოფასაც არ დაერიდებოდა.

მეორე დღეს მეზობლები იწყებდნენ მყოლების (მაყრების) გადაწვევას თავიანთ ოჯახებში და ვამასპინძლებას. არაყს საქორწილოდ საგანგებოდ ამზადებდნენ. ხმირად 2—3 კომლი გაერთიანდებოდა და ერთად მასპინძლობდნენ სტუმრებს. სახლში შესული სტუმარი პირველად დაილოცებოდა: „აშენდით მასპინძელო, სალხინოიმც ნო მაგეშლებისთ“; „დაშვენდით მაგვიხევით მშვიდობით, მშვიდობით თქვენ მასვლა სტუმრებო“ [26, 119]. — ეტყოდა მასპინძელი და მოიწვევდა უფროსობის მიხედვით. ასეთ დროს უმცროსები არ დასხდებოდნენ და ფეხზე დგომით გამოხატავდნენ სტუმრებისადმი პატივისცემას.

ნებისმიერი სტუმარი, რომელიც იმ ხანებში სოფელში იმყოფებოდა, თავის მასპინძელთან ერთად აუცილებლად დაპატიჟებული იყო ქორწილში. აქ იგი ყველა პატივით სარგებლობდა და უსიამოვნების შემთხვევაში ორივე მასპინძელი, როგორც ძველი, ისე მექორწილე ოჯახის უფროსი, თავის მოვალეობად სთვლიდა სტუმრის მხარე დაეჭირა და მისთვის ხიფათი აეცილებინა [26, 130—131].

სამი დღის სტუმრობის შემდეგ მაყრები სახლებში ბრუნდებოდნენ. წასასვლელად გამზადებულ სტუმრებს, განსაკუთრებული პატივის ნიშნად, თითქმის მთელი სოფელი ლუდისა და არყის სმით აცილებდა.

ქორწილამდე მისვლა-მოსვლა, ერთმანეთთან სტუმრობა და მასპინძლობა, ისევე როგორც ხევსურეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყველა კუთხეშია გავრცელებული. ქორწილამდე არსებული ურთიერთობა აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ კუთხეებში ხასიათდება როგორც საერთო

ნიშნებით, ისე რიგ თავისებურებათა არსებობით. აშკარაა, რომ მოლაპარაკების შემდეგ ვაჟის ოჯახის სტუმრობა ქალის მშობლებთან ყველა კუთხეში თითქმის ერთნაირია. განსხვავება შეიძლება დავინახოთ სახელწოდებაში და იშვიათად სტუმრების ქცევაში, ან მათ მოვალეობაში მასპინძლის ოჯახისადმი. ლხინის დროს სტუმარმასპინძლობის წესები დაცული იყო ყველა სიმკაცრით იმისდა მიხედვით, როგორც ეს ცალკეული კუთხის წესებს შეესაბამებოდა. მოხეური წესის მიხედვით, ერთ-ერთი პირველი ვიზიტის დროს, სიძე, იმის მაგიერ რომ სუფრასთან მჯდარიყო და მნიშვნელოვანი ფიგურა ყოფილიყო სტუმართა შორის, თვითონ იყო მასპინძლის როლში და ლხინის მოთავებამდე არ ჰქონდა უფლება სუფრასთან დამჯდარიყო [15, 188]. ამას შეიძლება სიმბოლური მნიშვნელობაც ჰქონოდა: სასიძო ოჯახის მომავალი ნათესავი, ახალი შვილი იყო, ამიტომ შეიძლება მას ავალებდნენ სტუმრების გამასპინძლებას და ამით უცხადებდნენ დიდ ნდობასა და პატივს, რადგან მასპინძლობა ხომ მხოლოდ ოჯახის ნათესავს ან ძლიერ ახლობელ პირს შეეძლო.

ქორწილში სტუმრების მიღება-გამასპინძლება გამოირჩევა მასპინძლობის სხვა დანარჩენი სახეებისაგან. თუმცა შეიმჩნევა ზოგიერთი დეტალი, რომელიც საერთოდ ახასიათებს საზოგადოებაში ერთმანეთისადმი დამოკიდებულების ამ ფორმას. ქორწილში ყველა სტუმარი თავს ვალდებულად სთვლიდა ახალშეუღლებული წყვილისათვის რაიმე საჩუქარი მიერთმია. პატივმოყვარე სტუმარი ვერ გაბედავდა საერთო წესის დარღვევას, რადგან არ სურდა ხალხის თვალში ძუნწი გამოჩენილიყო. თანაც შეიძლება ამგვარი საქციელი მასპინძლის ოჯახის უპატივცემლობაში ჩამოერთმიათ. ამიტომ, თუ სხვა შემთხვევაში სტუმრის მოვალეობა მხოლოდ არყის მიტანით შემოიფარგლებოდა, ქორწილში ცდილობდა საჩუქრის

მიტანას შესაძლებლობის მიხედვით. საჩუქრის მიტანის გარდა, სტუმარი მზად უნდა ყოფილიყო შესაწევარი ფულის გაცემისათვის. ეს ფული ხმარდებოდა ოჯახის საჭიროებას ან ზოგჯერ ახალგაზრდების (ნეფე-პატარძლის) საკუთრება ხდებოდა. დადგენილია, რომ ქორწილში, ფულის შეწევნა აღმოსავლეთ საქართველოს მთაში შედარებით გვიან შემოუღიათ, თანაც ბარის გავლენით. რაც შეეხება ქორწილში საჩუქრის მიღებას, ეს წესი კლასობრიობამდელ საზოგადოებაშია წარმოქმნილი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალდაქორწილებულები სტუმრებისაგან საჩუქრებს იღებდნენ, მაგრამ არც თვითონ ივიწყებდნენ სტუმრებს და წვრილმან, მაგრამ ყურადღებისა და პატივისცემის გამომხატველ საჩუქრებს აძლევდნენ მათ.

ოჯახში მოსულ სტუმრებს კერის ირგვლივ შემოატარებდნენ და სუფრასთან მიიწვევდნენ. კერა ხომ წმინდა ადგილად ითვლებოდა. კერის კულტი მთელი ოჯახის გამაერთიანებელი იყო, თან მარადიული სიცოცხლის სიმბოლოს წარმოადგენდა. კერა გარეშე პირის ოჯახში მიღებისასაც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა [39, 310]. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კერის გარშემო სტუმრის შემოტარება მისი ოჯახის მფარველობის ქვეშ მიღების მანიშნებელი ფაქტი იყო.

საქორწილო სუფრის შემდეგ ახალგაზრდობა ცეკვა-თამაშს იწყებდა, მოსვენების მსურველებს კი მეზობლები ინაწილებდნენ თავ-თავის სახლებში და თვითონ უწევდნენ მასპინძლობას.

მეორე დღეს ფშავში მეზობლებმა იცოდნენ სტუმრების ხინკალზე დაწვევა [22, 138]. რაც უფრო კარგად უმასპინძლებდნენ მეზობლები სტუმრებს, მით უფრო ფასდებოდა მასპინძელი ოჯახი.

ხევში არსებული წესის მიხედვით, მეორე დღეს ეჯიბი მასპინძლობდა ყველა სტუმარს, რისთვისაც წინასწარ ემზადებოდა: ხდიდა არაყს და ადუღებდა ლუდს, კლავდა ორ ჰედილას [15, 275].

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ურთიერთდახმარება ქორწილშიაც იცოდნენ, მაგრამ ყველა კუთხეში ერთნაირად როდი ხდებოდა ამ წესის შესრულება.

მესამე დღეს სტუმრები წასასვლელად ემზადებოდნენ. მასპინძელი, თავისი მოვალეობის გამო, სთხოვდა სტუმრებს დარჩენას, მაგრამ იშვიათად, რომ ასეთ დროს რომელიმე სტუმარს ესარგებლა მასპინძლის გულკეთილობით და კიდევ რამდენიმე ხანი დაეყო სტუმართმოყვარე ოჯახში. სტუმართმოყვარეობის წესების ანგარებით გამომყენებელი სტუმარი არანაკლებ გაკიცხვას იმსახურებდა, ვიდრე პურაძვირი მასპინძელი. წასვლისას სტუმრებს თითქმის მთელი სოფელი აცილებდა. მასპინძლები მათ საგზალს და სასმელს — „საგზაო არაყს" (ფშავი) ატანდნენ.

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები ქორწილის დროს გამოირჩეოდნენ სტუმრისადმი ყურადღებით, თავაზიანობით, მოხუცებისადმი განსაკუთრებული პატივისცემით. მეზობლებისა და მოკეთეების დახმარება დიდი სტუმრიანობის დროს სავალდებულო და საპატიო საქმედ ითვლებოდა, რაც ჩვენ სამეზობლო (ტერიტორიული) თემის წარმოქმნისდროინდელ მოვლენად მიგვაჩნია. ამავე დროს, ქორწილში მეზობლებისა და თანასოფლელების უაღრესად განვითარებული ურთიერთდახმარება, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე ტერიტორიული თემური ურთიერთობების მყარად არსებობაზე მიუთითებს.

დადებით მხარეებთან ერთად, რომელიც საკმაოდ ბევრია საქორწილო წესებში და ცერემონიალში, თავი იჩინა თანა-

მედროვეობით მიტანილმა მავნე და ყოვლად უსარგებლო წესებმა. ერთმანეთის მიბაძვით როგორც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, ისე, საერთოდ, მთელს კავკასიაში, გავრცელდა ჩვეულება უზარმაზარი, ხალხმრავალი ქორწილებისა. ამან წარმოშვა ქიშპი და დაუოკებელი სურვილი, მეზობელთან შედარებით, უფრო დიდი და ძვირფასი ქორწილის გადახდისა. ამას გარდა, დიდი ფულადი შესაწევარი, რომელიც უკვე პრესტიჟის მაჩვენებელია, მიპატიჟებულ სტუმარს უკარგავს ქორწილზე დასწრების ყოველგვარ სურვილს, მისულს კი ყოველგვარ საშუალებას — ისიამოვნოს ოჯახის სიხარულით, ლხინითა და მასპინძლობით. ერთად შეყრილი უამრავი და ერთმანეთისათვის ნაკლებად ნაცნობი ხალხი არა თუ ხელს არ უწყობს ნამდვილ სიხარულსა და დროსტარებას, არამედ, პირიქით, ქმნის ბევრ, ხშირად მასპინძლისათვის გადაუჭრელ პრობლემებსაც. ყველაფერი ეს კი ხელს უშლის ამ მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი რიტუალის ღირსეულად და ლამაზად ჩატარებას.

* * *

სტუმარმასპინძლობის წმინდა მოვალეობას ქართველი კაცი არ ივიწყებდა მწუხარების დროსაც. საქართველოს მთიანეთმა ბარის რაიონებთან შედარებით, სხვა წეს-ჩვეულებებთან ერთად, უფრო წმინდად და ხელშეუხებლად შემოგვინახა ამ საგულისხმო ტრადიციის წეს-ჩვეულებები მწუხარების დროს. მისთვის ნიშანდობლივია შექმნილი ვითარებისათვის შესაფერისი წესების დაცვა. ზემოთ ვნახეთ, ქორწილის დროს ოჯახისადმი მეზობლების, ნათესავების, თანასოფლელების დახმარება და თანაგრძნობა როგორი აშკარა ხასიათისა იყო.

ასევე იყო სხვა რომელიმე დღესასწაულის ან გლოვის დღეებშიც.

სტუმრისადმი ყურადღება, პირველ რიგში, თავს იჩენდა გლოვის დროს. ასეთ შემთხვევაში სტუმარი მოკრძალებით იქცეოდა და მასპინძელსაც (ოჯახს, გვარს, სოფელს) მისდამი ფაქიზი დამოკიდებულება მართებდა.

მიცვალებულის დატირების რიტუალში ყურადღებას იქცევს როგორც მგლოვიარე ოჯახში მოსულთა მიერ შესრულებული წესები, ისე მასპინძელთა მხრიდან შეხვედრის ჩვეულება. როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, ყველა მომსვლელი, მგლოვიარე ოჯახთან დამოკიდებულების მიხედვით (ნათესაობა, მეზობლობა, ნაცნობობა...), ყოფაში დამკვიდრებულ წესს ასრულებდა. ეს კარგად ჩანს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის თითქმის ყველა კუთხეში.

მიცვალებულისათვის განკუთვნილი რიტუალური პურობა, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში „ხარჯი“ ან „რიგი“ ეწოდება, მიცვალებულის გლოვის რიტუალის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია [9]. მაგრამ მათი დაწვრილებითი განხილვა არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის მიზანს. „ხარჯს“ და „რიგს“ განვიხილავთ იმდენად, რამდენადაც მათთან მიმართებაში დავინახავთ სტუმარმასპინძლობის თავისებურებებს მიცვალებულის გლოვის დროს.

მგლოვიარობის დროს ოჯახში სტუმრის მიღება შესაბამისი რიგის დაცვით ხდებოდა. კაცებს კაცები დახვდებოდნენ, ქალები კი ცხედარს მიუახლოვდებოდნენ და მხოლოდ მიცვალებულის დატირების შემდეგ ეტყოდნენ მშვიდობას სატირლად მოსულ ქალებს და მიცვალებულის უკანასკნელი წუთების ამბავს ჰკითხავდნენ დამხვდრურებს.

ნათესავების პირველი მოსვლის დროს იარაღი არავის ესხა, განსაკუთრებით ახლო ნათესავებს, ხანჯლის და ჯოხის

მეტს ვერაფერს უნახავდით მათ. იარაღასხმული მოსვლა მიცვალებულისადმი უპატივცემულობად ითვლებოდა. გზაში მოსისხლეც რომ შეხვედროდა, არ უშუღლებდა, რადგან ჯერ ერთი უიარაღოს დაჯაბნა სახელს არ მოუტანდა, პირიქით, შეარცხვენდა... თავის მხრივ მოსისხლეც პატივს სცემდა მწუხარების ამგვარ გამოვლინებას უკიდურეს შემთხვევაში, თუ კაცი იარაღს წაიღებდა, აუცილებლად უკუღმა აისხამდა.

ხევსურეთში (და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებშიც) „ჭირის საწყენად" (სამძიმრისათვის) მოსულ ხალხს ჭირის პატრონის ოჯახი არ უმასპინძლდებოდა. „... ხდებოდა სტუმრის „გაწევა". მიცვალებულის მოგვარეები და მეზობლები თემიდან მოსულ ხალხს, ქალები ქალებს და კაცები კაცებს შინ დაპატიჟებდნენ, ყველს და პურს აჭმევდნენ... არაყს დაალევინებდნენ მიცვალებულის სულის მოსახსენებლად" [5, 8]. საერთოდ, ამ წესიდან და გლოვასთან დაკავშირებული სტუმრობის სხვა წესებიდანაც კარგად ჩანს ის, თუ რაოდენ მყარად ყოფიერებდა სამეზობლო (ტერიტორიული) თემის ტრადიციები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გვიან პერიოდამდე. რადგან მიცვალებულის დაკრძალვამდე სოფელში ხორცს არ ჭამდნენ, ამიტომაც, რაც უნდა დიდი სურვილი ჰქონოდა მასპინძელს სტუმრებს კარგად დახვედროდა, პურისა და რძის ნაწარმის მეტს ვერაფერს გამოუტანდა. დაწაყრებული სტუმრები ისევ ჭირის პატრონის ოჯახში ბრუნდებოდნენ. ბანზე ვისაც სად უნდოდა, იქ დაჯდებოდა, სკამის შეთავაზება არ იცოდნენ. ყურადღება არ ექცეოდა საუფროსო და საუმცროსო სკამებს. სიკვდილის წინაშე გაუბრალოებული და გაუფასურებული იყო ყველა წესი და რიგი, გარდა, რა თქმა უნდა, იმისა, რაც საჭირო იყო მიცვალებულის სულის გასანათლებლად და მის პატივსაცემად. თვით ასეთი წმინდა და

ურღვევი წესიც კი, როგორიც არის სტუმარმასპინძლობა, დასაფლავების დროს სახეშეცვლილი იყო. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს ამ ტრადიციის ფორმების სიმრავლეზე. ასე მაგალითად, მიცვალებულის ოჯახში მოსული სტუმარი სხვაგან მიჰყავდათ დასანაყრებლად ოჯახის პატრონის ნებართვის გარეშე. მეზობლები ამითი ჭირის პატრონის მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდნენ და მას მასპინძლის მოვალეობისაგან ათავისუფლებდნენ.

ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, რომ ამ დღეს მეზობლები და ახლობლები მარტო თავ-თავის ოჯახებში როდი უმასპინძლდებოდნენ სოფელში მოსულ სტუმრებს. თითქმის ყოველთვის, მიცვალებულის სულისათვის გაწეულ ხარჯში რაღაც განსაზღვრული წილი ედოთ ნათესავებს, მეზობლებს, მეგობრებს, რომლებსაც ჭირისუფლის ოჯახში მოჰქონდათ სურსათი და სასმელი, ხანდახან ფულიც — შეძლების მიხედვით. ამ მოვლენას იმდენად დიდი ეკონომიკური და ეთიკურ-მორალური მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ თუშებში მას საგანგებო განსაზღვრებაც კი გააჩნდა. შეწევნის ამ სახეს „ს ა ნ ი ჭ ა რ ი“ ეწოდებოდა, ხოლო მომტანს — მ ო ს ა ნ ი ჭ რ ე“. საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ბარის რაიონებში „ს ა ნ ი ჭ ა რ ი“ ცნობილია როგორც ქორწილში შეწევარი [32; 14]. ქართული სამართლის ისეთ ძეგლში, როგორიცაა „სამართალი ბექასი და ალბუღასი“, „სანიჭრის“ ორიგვეგვარ მნიშვნელობას აქვს ხაზი გასმული [33, 437].

მიცვალებულის ოჯახისადმი შეწევნა აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხისათვის იყო დამახასიათებელი. ფშავში მას „მკვდრის პატივი“ ეწოდებოდა.

როგორც ცნობილია, მიცვალებულის დაფასების მიზნით, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, აუცილებლად მართავდნენ

დოღს. პირიქითა ხევსურეთში დოღი დასაფლავების დღეს იმართებოდა, ხოლო თუშეთში, ფშავში, პირაქეთა ხევსურეთში, მთიულეთსა და გუდამაყარში დოღის გამართვა იცოდნენ წლისთავის ხარჯის დროს. დოღის დროს სტუმრებიც და მასპინძლებიც თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ — ისინი მხედრები იყვნენ. დოღი, როგორც მიცვალებულის კულტის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი, გავრცელებული იყო არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებშიც (ჩეჩნები, ინგუშები, ოსები, ჩერქეზები).

ყველა სავალდებულო წესის შესრულების შემდეგ, სტუმრები წასასვლელად მოემზადებოდნენ. „გამართული", ე. ი. წამსვლელი სტუმრები მასპინძელს გულის გასამაგრებელი სიტყვებით ანუგეშებდნენ. თითქმის ყველა სტუმარი ერთად მიდიოდა, ვისაც უნდოდა, სტუმრებს სოფლის ბოლომდე გააცილებდა. ცხენები გამცილებლებს მიჰყავდათ. დამშვიდობების შემდეგ სტუმრები ცხენებს ჩამოართმევდნენ. მასპინძლები არაყსაც გადასცემდნენ სტუმრებს და ფეხით კარგა მანძილის გავლის შემდეგ, სოფლიდან დაშორებით, მხედრები ცხენებზე შესხდებოდნენ. ამ დროს, სტუმარმასპინძლობის წესების თანახმად, არაყის გატანება სტუმრებისადმი პატივისცემის მანიშნებელი იყო.

მიცვალებულის ოჯახისადმი დახმარების საქმეში არ შეიძლება არ დავინახოთ ნათესავ-მეზობლების როლი. ამგვარი დახმარების დროს ნათლად ჩანს ჭირში ურთიერთდახმარების დაუწერელი კანონის ქმედითი ძალა. აქ ნათესაური ურთიერთობის მიხედვით განსაზღვრული მოვალეობანი ეკისრებოდა მომსვლელ სტუმრებს. როგორც ჩანს, ურთიერთდახმარების საჭიროებას განაპირობებდა არასახარბიელო ეკონომიკური პი-

რობები. არსებულ ხარჯებს ოჯახი თავისი სახსრებით ვერ უძღ-ებოდა და მთის მოსახლეობა გამოსავალს დახმარების ამგვარ ფორმაში ხედავდა.

საერთოდ, როგორც ქორწილის, ისე გლოვის დროს აღმო-სავლეთ საქართველოს მთიანეთში სტუმარმასპინძლობის ზო-გიერთი წეს-ჩვეულება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუ-კუნის დასაწყისში გაუკულმართდა. აღნიშნული ვითარება ხალხმა და მისმა მოწინავე წარმომადგენლებმა სხვადასხვა ეპო-ქაში არაერთხელ განსაჯეს და სათანადო დასკვნებიც გამოიტა-ნეს. სოფელი, თემი და საზოგადოება ითვალისწინებდა ამ ხარ-ჯებით გამოწვეულ უარყოფით შედეგებს მშრომელი ხალხის ეკონომიკაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურად იბრძოდნენ მთიელები, ვინაიდან, პირველ რიგში, მათი შეზღუდული სამე-ურნეო პირობებისა და გაჭირვებული ცხოვრებისათვის იყო საჭირო უსარგებლო ხარჯების შემცირება. ამგვარ ღონისძიე-ბათა მაგალითები გვხვდება XIX საუკუნეში. რაც ფიქსირე-ბულია მაშინდელი პრესის ფურცლებზე. ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი კორესპონდენციები ეხება არა მარტო ხარჯების შესრულების წესს, არამედ, მათი შემცირების მიზნით, თემის ყრილობათა დადგენილების შინაარსსაც გვაცნობს [35, 23, 179; 15, 231; 37].

მიცვალებულის ოჯახში სტუმარმასპინძლობის წესების შესრულებით მარტო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი როდი გამოირჩევა. მთელს საქართველოში ფესვგამჯდარი იყო შესაბამისი წესები ჭირსა და ლხინში. არანაკლებ დახვეწილი იყო ეს ჩვეულება დასავლეთ საქართველოშიც. მაგალითად, გურულ მესტუმრეს, რომელიც მიცვალებულის ოჯახში ტრი-ალებდა, ევალებოდა ყოფილიყო ზრდილი, თავაზიანი, ენა-წყლიანი და დიდად მოხერხებული. მას უნდა შესძლებოდა

თვალყური ედევნებინა ყველა მომსვლელისათვის, რომ უჭმელ-უსმელი არავინ დარჩენილიყო და, მით უმეტეს, ნაწყენი არავინ წასულიყო [41, 174].

რაც შეეხება მიცვალებულის ოჯახისადმი დახმარებას, ესეც სხვადასხვანაირად ხდებოდა, მაგრამ მნიშვნელობა და მიზანი ყოველთვის უცვლელი რჩებოდა. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოსა და აფხაზეთში მკაფიოდ ჩანდა ნათესავ-მეზობლების დახმარების მიზანი მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც შეშველებოდნენ მიცვალებულის ოჯახს ხარჯის გასტუმრებაში. ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ მარტო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობას როდი გააჩნდა სტუმარმასპინძლობის საგანგებო და დახვეწილი ტრადიცია. სტუმრის მიღება-გამასპინძლება-გასტუმრების სილამაზე ყოველი ქართველი ადამიანის ყოველდღიურის ყოფის მნიშვნელოვანი ელემენტია. იგი ქართველი კაცის ბუნებაში, მის ფსიქოლოგიაში უნდა ვეძიოთ. საერთოდ, ამ ინსტიტუტის შესწავლის კვალობაზე ნათლად იკვეთებოდა ქართველი ხალხის რიგი ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებები; მსოფლიოს სხვა ხალხების სტუმართმასპინძლობის ტრადიციების შედარებითი შესწავლა უფრო წარმოაჩენს ჩვენი ერისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, რომლებიც საუკუნეების სიღრმეში, ჯერ კიდევ კლასობრიობამდელ საზოგადოებაშია წარმოქმნილ-ჩამოყალიბებული და ისტორიულად დროთა მსვლელობაში გამოკვეთილი. მთამ კი, თავისი გარემო პირობებისა და აქ არსებული სოციალური სტრუქტურისა თუ საზოგადოებრივი ყოფის ხელშეწყობით, უფრო დიდხანს და, შედარებით, ხელშეუხებლად შემოგვინახა ეს ინსტიტუტი.

დროთა განმავლობაში, ოდესღაც საჭირო და აუცილებელმა ტრადიციებმა დაჰკარგეს თავისი სახე და ფორმა. დაიკარგა ლაზათი და პატივისცემა.

უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა მრავალრიცხოვანი ქელეხი, უზარმაზარი გადასახურავით (ფულადი შესაწევარი). დაპატიჟებულ სტუმართა უმრავლესობას, თავისი მატერიალური მდგომარეობის გამო, არ შეეძლო გაწვდომოდა ამდენ ხარჯს, მაგრამ არც ის სურდა, რომ პირშერცხვენილი გამოსულიყო ამგვარი „გამოცდიდან“.

არ არის საჭირო ზუსტად გადავიღოთ ძველი ტრადიციები და დაუფიქრებლად გავიმეოროთ იგი ისე, რომ არ შეეცადოთ მათ თანამედროვე მდგომარეობის კუთხიდან განხილვას. აუცილებელია გავითვალისწინოთ ის სოციალური, ეკონომიკური და რელიგიური ფაქტორები, რომლებთან კავშირშიაც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა ეს ტრადიციები.

სტუმარმასპინძლობის ფორმათა სიმრავლის სათავე, ხალხის ბუნებაშიც უნდა ვეძიოთ, იმ გარემოპირობებთან შეფარდებაშიც, სადაც ეს ტრადიცია იქმნებოდა.

მიცვალებულის სატირლად მისული ხალხის გამასპინძლების ასახსნელად არ უნდა დავიიწყოთ, რომ მოტირალთა ნახევარი მაინც სხვა სოფლებიდან იყო მოსული. გზების უქონლობისა და სატრანსპორტო საშუალებების სიმცირის გამო, მათ მისამძიმრების შემდეგ აღარ შეეძლოთ მაშინვე უკან ღაბრუნება. სტუმართა უმრავლესობა რჩებოდა სოფელში დასაფლავების დღემდე. ამიტომ არ არის გასაკვირი და უცნაური, რომ მიცვალებულის ოჯახისადმი დიდი პატივისცემის ნიშნად ამ ოჯახის სტუმრების გამასპინძლება-პატრონობას თანასოფლელები კისრულობდნენ.

* * *

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფა-ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ხატობა იყო, რისთვისაც დიდი ხნით ადრე იწყებდნენ მზადებას. ხატობის დროს სოფელი მზად უნდა ყოფილიყო დახვედროდა და მასპინძლობა გაეწია ხატთან შესახვეწრად მოსული სტუმრებისათვის. ხევსურეთში ასეთი ხატობის დროს ჯვარის მოპირდაპირე მხარეს რომ ვინმეს გაევლო, ცხენიდან ჩამოსულიყო და ხატისათვის პატივი ეცა, მას აუცილებლად დაუძახებდნენ, მიიწვევდნენ ჯვარში (სალოცავში) და პატივს სცემდნენ. თუ სტუმარი ცხენიდან არ ჩამოვიდოდა, მაშინ არ მიიპატიჟებდნენ სუფრასთან, მაგრამ არც პასუხს მოსთხოვდნენ კადნიერებისათვის, რადგან ხატი სოფლიდან მოშორებით იყო. ყველა გამვლელს, ხატობის დროს, აუცილებლად ქუდი უნდა მოეხადა და პირჯვარი გადაეწერა. ამ წესს ყველა ასრულებდა [26, 236].

ხევსურეთში ხატობაზე შემთხვევით გამვლელი სტუმრის გარდა, საგანგებოდ მოსულ სტუმრებსაც ღებულობდნენ. ეს იყო მეზღვნე (იმ სოფლელის დისწული, მათი ხატის მლოცველი), რომელიც ამ შემთხვევაში დიდი ძღვენით (სასმელი, საკლავი) მოდიოდა. მოყვანილ საკლავს იმის სამწყალობოდ დაკლავდნენ. მეზღვნეები ხატში არ რჩებოდნენ ღამის გასათევად, სოფელში ბრუნდებოდნენ. ამ შემთხვევაში ბიძებთან — დედის ძმებთან მისული დისწული პატივს სცემდა დედის საგვარეულო სალოცავს და მისდამი თაყვანისცემას გამოხატავდა.

ხევში სტუმრებს საგანგებოდ ელოდნენ. თუ ხევსურეთში გზაზე ნებისმიერი გამვლელი შეიძლება სტუმრად სწვეოდა ხატში მყოფ ხალხს, ხევის რომელიმე სოფლის ხატობაზე სხვა სოფლებიდან მოსული ხალხი ერობაში იყრიდა თავს. სოფლი-

დან კომლზე თითო კაცი ჩამოდიოდა და სტუმრებს იყოფდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც ვინმეს სტუმარი არ შეხვდებოდა და თავს ძლიერ შერცხვენილად გრძნობდა. ზოგიერთი ძალიან მონდომებული მასპინძელი სოფლის გარეთ უხვდებოდა მომავალ სტუმარს და იქიდან მიჰყავდა სახლში. თუ ასეთი რამ გამოაშკარავდებოდა, გულუხვი მასპინძელი ჩხუბის გარეშე ვერ გადარჩებოდა.

სტუმარ-მასპინძლობის საინტერესო დეტალს აღწერს ს. მაკალათია თავის ნაშრომში „ხევი". აღწერილია სპარსანგელოზობის დროს „ერობაში" თავმოყრილი სტუმრების განაწილება „საღმთოს" გადამხდელ ოჯახებზე. სტუმრებს არ ანაწილებდნენ მხოლოდ მიცვალებულთა პატრონების და ქვრივობლების ოჯახებზე. „მასპინძელი თავის სტუმართან თვითონვე მიდიოდა და ის ოჯახში მიჰყავდა. მასპინძელი თავის წილხვდომილ სტუმარს, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მოძებნიდა და ეტყოდა: „ჩემი ნარგები ხარ და წამობრძანდიო". სტუმარს უარის თქმა არ შეეძლო, ეს იქნებოდა წესის დარღვევა და მასპინძლის შეურაცხყოფა. ერობაში თავმოყრილ სტუმრებს ზოგჯერ ქუდებს ხდიდნენ და ნაბდის ქვეშ აგროვებდნენ. შემდეგ ამ ქუდებს ისროდნენ და იტყოდნენ: „აი გუგუა, ეს სტუმარი შენი ნარგებიაო". და ისიც ქუდს მოიტაცებდა. ქუდის პატრონიც მას გვერდში ამოუდგებოდა. მაგრამ სტუმარი რომ არ გაპარულიყო, მას გირაოდ რაიმე ნივთს ართმევდნენ. თუ ვინმე მაინც გაიპარებოდა, ის მეორე დღეს მასპინძელთან ბოდიშის მოხდით მივიდოდა და გირაოს დაბრუნებას თხოვდა. მასპინძელი მას შეარცხვენდა და თანაც გააფრთხილებდა, რომ ასეთი საქციელი შემდგომში არ ჩაედინა. სპარსანგელოზობის დროს სტუმრის ოჯახში მიუწვევლობა დიდი სირცხვილი იყო და სადაც არ უნდა ყოფილიყო, მასპინძელს სტუმრები უნდა „მოერეკა" [23, 249—250].

ფშავში ხატობის დროს უცხო სტუმარი რომ შესწრებოდათ, აუცილებლად მიიპატიჟებდნენ, პატივისცემის ნიშნად ცალკე სუფრას დაუდგამდნენ და ისე გაუმასპინძლდებოდნენ [22, 194; 13, 196—197].

თუშებში სტუმრის გამასპინძლება იცოდნენ როგორც ხატში ღამისთევისას, ისე სოფელში დაბრუნების შემდეგ. ხალხი ქორბეღელას ცეკვით ხატიდან სოფელში ბრუნდებოდა და იქ სოფლის მოედანზე ინაწილებდნენ სტუმრებს. თუშებს, სხვა ქართველი მთიელებისაგან განსხვავებით, ქალებისა და მამაკაცების და მათ შორის სტუმრების მოტაცების, ჩათრევის წესიც ჰქონდათ. ხატობისას ქალები თუ შეძლებდნენ სტუმრის დათრევას და მის ძალით მიჯნაზე გადაყვანას, მასპინძელი იძულებული იყო სტუმარი ქვაბ-საკლავით გამოესყიდა. ეს წესი თან ახლდა ე. წ. „ჩათარას", რომელიც ხატობაზე სრულდებოდა ქალების მიერ და ეხებოდა მხოლოდ მამაკაცებს [21. 203—205].

მთიულეთში ხატობის დროს ღამის გასათევად დისწულს არ ტოვებდნენ ხატში, უყმო ყმა კი ხატში უნდა დარჩენილიყო ღამის გასათევად. ხატობისას უყმო ყმა პირველად თავისივე სუფრას გაიშლიდა და მხოლოდ შემდეგ ხდებოდა სხვა სუფრებზე გადაპატიჟება. უყმო ყმას დიდი და განსაკუთრებული პატივით ეკიდებოდნენ. ეს და ზემოთ მოტანილი სხვა მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ხატობის დროს სტუმრის მისვლის შესახებ, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ აქ ამ დროს ძალაშია ტერიტორიული (სამეზობლო) თემის ტრადიციები. ამ მხრივ არსებითია სწორედ ის, რომ არანათესავი (უყმო ყმა) ნათესავის დონეზეა.

ხატობისას სტუმარმასპინძლობის წესები თანამედროვე ყოფაში ნაკლებადაა შემორჩენილი. ეს ძირითადად განაპირობა

იმანაც, რომ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა დიდი ნაწილის ბარში ჩამოსახლების გამო, რელიგიური დღესასწაულების შესრულების ტრადიცია შესუსტდა. მიუხედავად ამისა, მთაში დღემდე შემორჩენილია სტუმრის გამასპინძლების ბევრი კარგი ტრადიცია, რომელიც ადრე მხოლოდ რელიგიური დღესასწაულის დროს სრულდებოდა.

* * *

ქართველ ხალხში სტუმარმასპინძლობის ტრადიციები რომ განვითარების მაღალ დონეზე იდგა, ამაში დაარწმუნდებით თუ თვალს გადავავლებთ საუკუნეების სიღრმეში წარმოქმნილ ქართული ფოლკლორის ნიმუშებს. თაობიდან თაობას გადაეცემოდა თითოეული მთხრობლისაგან საკუთრივ ჩამატებული შეთხზული, ფანტაზიით ნაკარნახევი რაიმე წესი, მაგრამ ყოველ ზეპირგადმოცემაში ფანტასტიკურთან ერთად არის რეალური, ყოფითი ელემენტებიც. ფანტასტიკურის ჩამოცილების შემდეგ ჩვენ გვრჩება ხალხის ცხოვრებისა და ყოფის ამსახველი საკმაოდ დამაჯერებელი სურათები, რაც ხელს უწყობს ხალხის ეთნოგრაფიულ შესწავლას. ასე რომ, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში შემორჩენილი სხვადასხვა ხასიათის ლექსი თუ თქმულება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყარო, სადაც ცოტაოდენი ზებუნებრივი ელფერით რეალური, ცხოვრებაში ნამდვილად მომხდარი თუ მიმდინარე მოვლენებია ასახული [27, 59].

აღნიშნული თვალსაზრისით, უაღრესად საყურადღებოა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ხალხური პოეზიის ნიმუშები. სტუმარმასპინძლობის ამსახველ

ლექსებში თითქმის ზუსტად არის გადმოცემული სტუმრის მიღება-დახვედრის წესების ბევრი დეტალი.

ლექსების უმრავლესობა მასპინძლისა და მისი ოჯახის შესახებაა. როგორც ჩანს, კარგად მასპინძლობა ადამიანის ღირსების ერთ-ერთი მანიშნებელი იყო. ლექსებში ნაჩვენებია მასპინძლის სიხარული, მისი მცდელობა — კარგად დაუხვდეს სტუმრებს; ნაქებია მისი გულუხვობა, პურადობა.

სტუმარმასპინძლის ურთიერთდამოკიდებულება არის თაობების მანძილზე დახვეწილი, ჩამოყალიბებული ფორმა ურთიერთობისა, რომლის დაცვაც მოეთხოვებოდა ყველას განურჩევლად მდგომარეობისა, წოდებისა და განწყობისა. პირველი და აუცილებელი პირობა იყო სტუმრის მიღება, დიდ სირცხვილად ითვლებოდა კარზე მომდგარი კაცის უკან გაბრუნება. ამიტომაა, ალბათ რომ ხალხურ ლექსებში უფრო ხშირად იხსენიება გულუხვი და გულითადი მასპინძელი, ვიდრე სტუმარი [36, 198—200]. სტუმრისათვის ხოტბის შესხმა სტუმარმასპინძლობის ერთ-ერთი დამახასიათებელი წესია, მაგრამ იგი ლექსებში იშვიათად ჩნდება. საერთოდ, უფრო ხშირად, აქებენ სტუმრის თავმდაბლობას, უპრეტენზიობასა და მასპინძლისადმი მადლიერების გრძნობას. ასეთი შინაარსის ლექსები გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყველა კუთხეში, სადაც იგი იქმნებოდა სტუმარმასპინძლობის ტრადიციის ურთიერთმსგავსების საფუძველზე. მსგავსი შინაარსის ლექსები საქართველოს ბარშიაც არ იყო უცხო. არც ეს არის გასაკვირი, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მთელ საქართველოში სტუმართმოყვარეობის ტრადიციის ძალამ და სიღრმემ ძალაუნებურად გამოიწვია მის შესახებ შექმნილი სხვადასხვა ნაწარმოების შინაარსობრივი დამთხვევა.

თითქმის ყველა ლექსში ნათლად ჩანს, რომ სტუმრის გამასპინძლების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ითვლებოდა

სასმელი. საჭმლიდან მხოლოდ პურია დასახელებული, მაგრამ არა პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ ნაგულისხმევია პურის ჭამა. მასპინძელი ვალდებული იყო ყველაფერი კარგი გამოეტანა სტუმართან, უკანასკნელი ლუკმა უნდა გაეღო, ოღონდ ტრადიციისათვის არ ეღალატნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასპინძელი მკაცრად იკიცხებოდა. მისი სიძუნწე სალექსო და სალაპარაკო შეიქმნებოდა და ტრადიციისადმი უპატივცემულობა კარგა ხანს ლაქად შერჩებოდა მის ოჯახს:

„ავეთისას კი ნუ მიხვალ, მასპინძელს გული სტკიოდეს,
სტუმრისა შასმულ-შაჭმულსა ცოლი ქმარს შამასჩიოდეს".
[36, 198].

მასპინძელს, რომც არ გახარებოდა სტუმრის მოსვლა, მაინც არ უღალატებდა ადათს, პირნათლად შეასრულებდა თავის მასპინძლურ მოვალეობას და თავის სახლიდან სტუმარს უპატივცემულოდ არ გაუშვებდა:

„სტუმარო შენი სტუმრობა, მე გულში არა მდებია,
არც შენი წასვლა მწყენია, არც მოსვლა გამხარებია" [20, 199].

სამწუხაროდ. შემორჩენილი ლექსების მეშვეობით შეუძლებელია სტუმრის მიღება-გამასპინძლების ტრადიციის სრული სახით აღდგენა. პირველი, რაც უფრო ხშირადაა თვალში საცემი, ესაა მასპინძლის გულითადობა, მისი სიხარული სტუმრების გამასპინძლების დროს:

„მასპინძელ კარგა მასპინძლობს გულითა მხიარულითა,
ქოში წითელი გაცვითა, სუფრაზე სიარულითა" [36, 199].

ლექსებში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ლხინზე მასპინძლის ოჯახში, როდესაც მასპინძელი უშუალოდ

ასრულებს თავის მოვალეობას. ლექსების უმრავლესობაში ლაპარაკია მასპინძელ მამაკაცზე. ერთ-ერთ ლექსში ჩანს სტუმრისათვის საგზლის გატანების წესი. გაცილებისას ოჯახის დიასახლისი წამსვლელ სტუმარს უმზადებდა საგზალს და აუცილებლად სასმელს. საგზალს სტუმარი თვითონ შეჭამდა, ხოლო სასმელს თითქმის ყოველთვის გზაზე შემხვედრ მგზავრებს ასმევდა:

„შავაქათ დიასახლისი ქუჯთა ნანაის ოდნადა!
ემაგის დამცხვარნ საგზალნი შავ-წყალ დავარნეს სამ ცხვრადა“
[36, 199].

რამდენიმე ლექსში სტუმართმოყვარეობა მამაცობაზე მაღლაა დაყენებული. ეს, ალბათ, იმ აზრით, რომ დოვლათიანობისას, კარგად ყოფნის დროს, კაცი რომ გულუხვობას გამოიჩენს, არ გახარბდება, თავისას უცხო კაცსაც სიხარულით გაუზიარებს — ეს თვისება უფრო დასაფასებელია და ასეთი ადამიანი უფრო პატივსაცემია:

„არშის თავს ვეფხვი დავკოდე, სამჯერ საომრად მეტია.
პურადი კაცი მამაცზე სამის გაფრენით მეტია“.

„არა ას მამაცობაი შარას გზასავით გაცვდება.
ერთი დღის ბარაქალაი, კარგა ხქენ, ჯელმც შაგჩება!
კარგი ას პურადობაი, უნჯია შვილსაც დაშჩება
პურადის კაცის ჯირიმე! შორითაე გაიცინებდა“ [36, 200].

სტუმარსა და მასპინძელს შორის რომ უფრო მნიშვნელოვანი ფიგურა სტუმარია, იქიდანაც ჩანს, რომ სტუმარი მზეს ან მზის შუქს არის შედარებული, ხოლო მასპინძელი მთვარეს:

„სასტუმრიელი მზეს ღგევხარ, სამასპინძლოდა მთვარესა“...

სტუმარმასპინძლობის ტრადიციის სიღრმისეული მნიშვნელობის შესახებ ქართველ ხალხში არანაკლები მნიშვნელობა აქვს ხალხური პროზის ნიმუშებს. თუ ზღაპრებს ჩამოვაცილებთ მისტიურ, არარეალურსა და ფანტასტიკურ დეტალებს, დაგვრჩება, შეიძლება ცოტა მშრალი, მაგრამ სამაგიეროდ საკმაოდ სარწმუნო ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც გვეხმარება არსებული ლიტერატურული და ეთნოგრაფიული მასალის შედარებასა და განზოგადებაში.

ზღაპრებში ხშირადაა გატარებული აზრი, რომ ღირსეულ მასპინძელს ყოველთვის უნდა ჰქონოდა ღმერთის იმედი. რომ ასეთ ადამიანს ყოველთვის მიეზღებოდა სათანადო საფასური თავისი სიკეთისა, ადამიანობისა და პატიოსნებისათვის. შეიძლება სწორედ ასეთი რწმენის საფუძველზე იხსენიებენ სტუმარს ასე — სტუმარი ღვთისაა! შეიძლება არსებობდა რწმენა, რომ სტუმარს ღმერთები მფარველობდნენ და ამის მიხედვით სჯიდნენ ან ასაჩუქრებდნენ ღირსეულ თუ უღირს მასპინძლებს. სწორედ ასეთი აზრი იბადება, როდესაც ზღაპრის „მოხუცი სტუმარი" — შინაარსს ვეცნობით [44, 57—60]. ამ ზღაპარში სამ ძმას სტუმრის სახით თვით წმინდა გიორგი ეევლინება. სტუმარმა ნატვრა შეუსრულა თითოეულ მათგანს და მერე გამოცდა მოუწყო. ამ გამოცდის შემდეგ ორი უფროსი ძმა, როგორც უვარგისი და ძუნწი მასპინძლები, ძველ მდგომარეობაში დააბრუნა. მესამე ძმა გარდაცვლილი დახვდა, მაგრამ მისმა მეუღლემ ყველაფერი გააკეთა, რომ სტუმარს არ გაეგო მომხდარი უბედურების შესახებ და ამით თავი უხერხულად არ ეგრძნო. ამის სანაცვლოდ წმინდა გიორგიმ მას ქმარი გაუცოცხლა და კიდევ უფრო მეტი დოვლათი და ქონება უბოძა.

სტუმარმასპინძლობის თემატიკაზე ზღაპრები არც თუ ისე ბევრია, მაგრამ საესებით საკმარისია იმისათვის, რომ და-

ვინახოთ მათ შინაარსში და ცხოვრების სინამდვილეში არსებული სტუმრის მიღების წესების მსგავსებანი.

დადებითი თვისებების შექებასთან ერთად, ზღაპრებში ადამიანის უარყოფითი თვისებებიც საკმაოდ მოხერხებულადაა გაკიცხული. ზღაპარში „ძუნწი მასპინძელი", როგორც სათაურიდან ჩანს, გაკიცხულია ადამიანის ყველაზე ცუდი თვისება — სიძუნწე, რომელიც შეიძლება მასპინძელს გააჩნდეს. ამჯერად, ამ ზღაპრის მიხედვით ძუნწი აღმოჩნდა დიასახლისი, რომელიც მეუღლემ საკმაოდ ოსტატურად დასაჯა, თუმცა კი სტუმრის პატივისცემა ვეღარ მოახერხა [44, 406—407]. ამ ზღაპარში ასეთი მასპინძლის დასჯის მაგალითი, სიმბოლურად, ყველა ცუდი მასპინძლის დასჯის მომასწავებელი იყო.

ასეთი ზღაპრების პირველადი დანიშნულება ადამიანის აღზრდაა. შეიძლება მსგავსი ამბები სინამდვილეში არც კი მომხდარა, მაგრამ ამგვარი ზღაპრების წარმოშობა ერთგვარი გამაფრთხილებული ნიშანია საზოგადოების ყველა წევრისათვის, რომ ღირსეულად შეასრულოს წინაპრების ტრადიცია და სხვადასხვა წვრილმანების წყალობით არ შეარცხვინოს გვარი და ოჯახი. ასეთ ზღაპრებს ადამიანი ბავშვობიდანვე ეზიარებოდა და ისისხლხორცებდა მათში ჩაქსოვილ უბრალო, მაგრამ ესოდენ საჭირო და აუცილებელ ჭეშმარიტებებს.

ქართული ხალხური ფოლკლორის ასეთი მოკლე მიმოხილვითაც კი ვრწმუნდებით, რომ ზღაპრებში ჩვეულებრივი ამბებიც ხშირადაა გადმოცემული. ეს ფაქტები ან მოვლენები ყოფის რეალურ ელემენტებს შეიცავს და გვეხმარებიან აღვადგინოთ ჩვენთვის საინტერესო ტრადიციის ან რაიმე მოვლენის ფოლკლორულ წიაღში დამუშავებული, მაგრამ სარწმუნო სურათები. მათი შემდგომი დაკონკრეტება ან შედარება კი არსებული ეთნოგრაფიული, ლიტერატურული და საარქივო მასალების საფუძველზეა შესაძლებელი.

თუ რაოდენ დიდი წადილითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ სტუმარმასპინძლობის ტრადიციებს კავკასიის ხალხები, ეს ნათლად ჩანს ოსი და ყაბარდოელი ხალხის ეპოსიდან [63, 157; 63]. ამჯერად, ჩრდილოეთ კავკასიური ფოლკლორული მასალების აქ წარმოდგენისაგან თავს შევიკავებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ასეთი ქართული და ჩრდილოეთ კავკასიური მასალების ურთიერთშედარება ნათლად წარმოაჩენს სტუმარმასპინძლობის ქართულ და ჩრდილოეთ კავკასიურ წესებს შორის მსგავსებას და განსხვავებას, რაც ამ ნაშრომში ზემოთ გვქონდა ნაჩვენები. საერთოდ, ფოლკლორის ნიმუშების ჩვენი თვალსაზრისით შესწავლა იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა, რომ ლექსებსა და განსაკუთრებით თქმულება-ზღაპრებში დაცულია სტუმარმასპინძლობის ის წეს-ჩვეულებები, რაც ჩვენს წინაპარს კლასობრიობამდელ საზოგადოებაში ჰქონდა. ამიტომაც ჩავთვალეთ საჭიროდ ფოლკლორული ნიმუშების ცალკე, დამოუკიდებელ ნაშრომში შესწავლა-განხილვა. ასე რომ არა, წინამდებარე ნაშრომშიაც შეიძლებოდა მის შესახებ საუბარი.

ბოლოს, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სტუმარმასპინძლობა, თავისი დიდი მნიშვნელობის გამო, მხოლოდ კავკასიელი ხალხების ფოლკლორში როდია ასახული. საკმარისია გავეცნოთ სხვა ხალხების შემოქმედებას, რომ აუცილებლად წავაწყდებით სტუმრის მიღების არსებული წესების გამოყენებას სიუჟეტის განვითარებაში. ხშირად სტუმრების მიღება-გამასპინძლება თხრობის მნიშვნელოვან დეტალს წარმოადგენს. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ „კალევალა" (კარელურ-ფინური ხალხური ეპოსი) და „საგა" (სიმღერა) ნიბელუნგების შესახებ.

მსგავსი დამთხვევები სხვადასხვა ხალხის ტრადიციებში მიგვანიშნებენ, რომ სტუმრის მიღებისას მოქმედებს ადამია-

ნის ფსიქიკის, შინაგანი ბუნებისა და ყოფის, ან სოციალური მდგომარეობის ერთგვარი კომპლექსი. ადამიანის პირველი სურვილია სტუმრის მიღებისას აჩვენოს ყველაფერი კარგი, რაც მას ან მის ხალხს გააჩნია და შექმნას ყველა პირობა, რომ სტუმარი კმაყოფილი დარჩეს. ეს კი მასპინძლის ცხოვრების დონეზე, მის მატერიალურ შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. მიუხედვად აღნიშნულისა, მაინც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია არა ტრადიციის მატერიალური მხარე, მისი განხორციელების საშუალებები, არამედ სითბო და ხალასი გრძნობა, რომელსაც ვერც ერთი მატერიალური საგანი ვერ შეცვლის. მხოლოდ ადამიანს შეუძლია მიანიჭოს მეორეს, თუნდაც მისთვის სრულიად უცხო ადამიანს, ყველაზე დიდი სიხარული და კმაყოფილება, მასპინძლის საპატიო და რთული მისიის შესრულებისას.

* * *

ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებათა კომპლექსში, სტუმარმასპინძლობის ადგილსა და მნიშვნელობაზე, ეთნოგრაფიულსა და ფოლკლორულ მასალებთან ერთად, მნიშვნელოვან მონაცემებს ვხვდებით ქართულ საისტორიო მწერლობაში, სამართლის ძეგლებსა და ისტორიულ დოკუმენტებში.

წერილობითი წყაროებიდან ნათლად ჩანს ქართველი ხალხის დამოკიდებულება სტუმარმასპინძლობის ტრადიციისადმი. ფეოდალური ხანის ისტორიოგრაფია გაჟღენთილია იმ სულისკვეთებით, რომ სტუმართმოყვარეობა სასიკეთო და სავალდებულო საქმეს წარმოადგენდა. ყველაზე უფრო მკაფიოდ ეს შეხედულება გამოხატა ვახუშტი ბაგრატიონმა, რომელმაც ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებათა სისტემაში სხვა დადებით

თვისებებთან ერთად, აღნიშნა: „სტუმართა და უცხოთა მოყუარენი"; „უყვართ სტუმარი და პატივსა უყოფენ და შეიწყნარებენ ფრიად"...; „სტუმრის მოყუარენი და კეთილად შემწყნარენი" [11, 44, 786, 796]. არ შეიძლება არ ითქვას იმის შესახებ, რომ ისტორიულად საქართველოს სახელმწიფო სამეფო კარზეც სტუმარმასპინძლობის დიდი და მაღალი ტრადიცია არსებობდა. აქ შეიძლება გავიხსენოთ სამეფო კარზე მ ე ს ტ უ მ რ ე თ-უ ხ უ ც ე ს ი ს ა და მ ე ს ტ უ მ რ ე ს თანამდებობანი და აქედან მიღებული ქართული გვარსახელი — მ ე ს ტ უ მ რ ი შ ვ ი ლ ი. მაგრამ იმის გამო, რომ აღნიშნული ვითარება წერილობითი წყაროების მიხედვით საგანგებოდ განვიხილეთ სპეციალურ ნაშრომში [75, 166—176], აქ მას აღარ გავიმეორებთ. დავკმაყოფილდებით იმის თქმით, რომ სტუმარმასპინძლობის ტრადიციას დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა არა მარტო უბრალო ხალხის ყოფაში. ამ ტრადიციას პატივს სცემდნენ და ანგარიშს უწევდნენ როგორც ქრისტიანული რელიგიის მსახურნი, ისე სახელმწიფო აპარატის მოხელენი. სამეფო კარზე, დიდებულთა სასახლეებში და მონასტრების წესდებებში გათვალისწინებული იყო ამ ტრადიციის ძირითადი კრედო — სტუმრის მიღება-გამასპინძლების აუცილებლობა. ხოლო განსხვავებები, რომლებიც დეტალებში არსებობდა, უნდა მივაკუთვნოთ ეპოქის, რელიგიისა და სოციალური მდგომარეობის თავისებურებებს.

სანამ შევეხებით საკითხს — „სტუმარმასპინძლობის წესები და თანამედროვეობა", ვფიქრობთ, მოკლედ შევაჯამოთ ზემოთ მიმოხილული მასალა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სტუმარმასპინძლობის ტრადიციების შესწავლამ საშუალება მოგვცა ჩაგვეხედა ამ საკითხის წარსულში, შეგვესწავლა მისი როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე მორალურ-ეთიკური საფუძვლები.

სტუმარმასპინძლობის ტრადიცია მიეკუთვნება ზნეობრივი ნორმების სფეროს. ამავე დროს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა შორის ამ საკითხის შესწავლა ააშკარავებს რიგ სოციალურ საკითხებსაც. აშკარაა, რომ დღემდე ტრადიციის სახით შემორჩენილი სტუმარმასპინძლობის ბევრი კომპონენტი კლასობრივ საზოგადოებამდე, გვაროვნული და ტერიტორიული თემის დროსაა ჩამოყალიბებული და შექმნილი.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სტუმარმასპინძლობის სახით არსებული ზნეობრივი ნორმები, დაცული შთამომავლობით, გადაცემული ტრადიციებით, ხელს უწყობდა ხალხთა დაახლოებას, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას, ერთმანეთთან ტერიტორიულად დაცილებული ხალხების უსაფრთხო ურთიერთობას და საქმიანი კავშირის განმტკიცებას.

სტუმართმოყვარეობას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობისა და, საერთოდ, კავკასიის მთიელების საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მძიმე გეოგრაფიულმა პირობებმა (გზების უქონლობამ, სხვა მრავალმა ხიფათმა, რომელიც მგზავრს გზაში ელოდა) და, რაც მთავარია, ბარისაგან განსხვავებულმა, ჩვენი მთიანეთისათვის დამახასიათებელმა სოციალურმა სტრუქტურამ, მასში ტერიტორიული თემის ტრადიციების არსებობამ ხელი შეუწყო ამ წესის, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის ნორმების მნიშვნელოვანი მოვლენის დამკვიდრებას.

თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა სტუმრის პერსონას, კარგად ჩანს საცხოვრებელი სახლის დაგეგმარებაში — საგანგებო კუთხის, ოთახის ან ცალკე სახლის გამოყოფაში. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ეკონომიკური პირობების მიხედვით, გავრცელებული იყო სტუმრისათვის

კუთხის ან ოთახის გამოყოფა. ცალკე სახლი უფრო, ჩრდილოეთ კავკასიის ან ბარის მცხოვრებლებისათვის იყო დამახასიათებელი. მაგრამ ყოველთვის სტუმრისათვის გამიზნული სამყოფელი იყო მეტად კეთილმოწყობილი, ლამაზი, მოხერხებული, ხოლო ასეთი მოწყობილობის მეტნაკლებობა მხოლოდ ოჯახის მატერიალურ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. საერთო-სასოფლო უსასყიდლო სასტუმროების არსებობაც ამაზე მეტყველებს, ოღონდ აქ ზემოაღნიშნული ტრადიცია უფრო ფართო, საზოგადო ხასიათს იღებს და სტუმარმასპინძლობის წესის საყოველთაო, საერთო სასოფლო ან სათემო აღიარებულობის მანიშნებელია.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფაში სტუმრის მიღება-გამასპინძლება საყოველთაოდ გავრცელებული და უპირველესი მოვალეობა იყო. მთიელებში გავრცელებული ზოგიერთი რწმენა-წარმოდგენები საუკუნეთა განმავლობაში ამტკიცებდნენ სტუმართმოყვარეობის საფუძვლებს. მაგალითად, ხევსურები დარწმუნებულები იყვნენ, რომ გარდა სახელისა, სტუმართმოყვარეობა ეკონომიკურადაც სასარგებლო იყო, რადგან სტუმარს თან მოჰყვებოდა ბარაქა და, ამდენად სტუმრიანი ოჯახი არასოდეს გაღარიბდებოდა. ეს რწმენა-წარმოდგენები მეორადი წარმონაქმნებია, რაც ამ ტრადიციის შენარჩუნების აუცილებლობისა და პრაქტიკულობის ბაზაზე აღმოცენდა. სტუმარმასპინძლობის წესის შემდგომ შესწავლაში აღმოჩნდა, რომ ურთიერთობის ამგვარი ფორმა არ ატარებდა ცალმხრივ სახეს. სტუმრისათვის მოხერხებული, საიმედო თავშესაფრის, გულუხვი მასპინძლობის ერთგვარი „საფასური" იყო თუნდაც მასპინძლისათვის იარაღის ჩაბარება. ამ შემთხვევაში მშვიდობისმოყვარეობის სიმბოლური გამოხატულების გარდა, ნათლად ჩანს პრაქტიკული მხარეც: მასპინძელი, სტუმ-

რის უსაფრთხოების გარანტიასთან ერთად, საკუთარ სიმშვიდეზეც ზრუნავდა, რადგან ძალიან ხშირად მას სრულიად უცხო მგზავრის ან მგზავრების მასპინძლობა უწევდა.

პრაქტიკული ღონისძიებების გარდა, სტუმრისა და მასპინძლის ურთიერთობებში ნათლად გამოიკვეთა სტუმრისადმი უდიდესი მოწიწებისა და პატივისცემის ნიშნებიც: ფეხზე გახდა, ფეხის დაბანა, ტანსაცმლის გამოცვლა. სუფრაზე მომსახურება კი ნიმუშია სტუმარმასპინძლობის ტრადიციის გამოვლინებისა. სუფრაზე საუკეთესო ადგილი, საუკეთესო საჭმელი, პირველი ულუფა — სტუმრის სრული პრიორიტეტი იყო. ზემოთ ჩამოთვლილის შესანიშნავი ნიმუშია სასმელით გამასპინძლების დროს მასპინძლის დაჩოქება ცალ მუხლზე და ქუდის მოხდა — ნიშანი ღრმა პატივისცემისა და მოწიწებისა.

სტუმარმასპინძლობის ტრადიცია თუმცა კი აღიარებდა სტუმრის სრულ უფლებებს მასპინძლის ოჯახში, მაგრამ, ისევ პრაქტიკული მოსაზრებების გამო დამკვიდრებული იყო სტუმრისათვისაც სავალდებულო წესები. საკმარისია გავიხსენოთ იარაღის აყრა ან სტუმრობის არაოფიციალური რეგლამენტირება. სტუმარს შეეძლო სამ დღემდე ესარგებლა მასპინძლის გულუხვობით, მაგრამ სამი დღის შემდეგ ვალდებული იყო გამოთხოვებოდა სტუმართმოყვარე ოჯახს. ხანგრძლივი სტუმრობა საკმაოდ საგრძნობი იყო მთიელთა ოჯახური ბიუჯეტისათვის და ამიტომ სტუმარმასპინძლობის ტრადიცია ითვალისწინებდა სტუმრის უფლებებით სარგებლობის რეგლამანტირებას, რის შემდეგაც მასპინძელი მორალურად გამართლებული იყო ყურადღების შესუსტების გამო. ეს ღონისძიება იმ გარემოებითაცაა გამართლებული, რომ სტუმრის მიღების აუცილებელი დეტალი იყო მისთვის მეზობლების ან საპატიო თანასოფლელების დაპატიჟება, რაც ისევ და ისევ ოჯახის ეკონომიური მდგომარეობისათვის საკმაოდ საგრძნობი გამოცდა

იყო. ამიტომ იყო, რომ ხშირად მეორე დღეს სტუმარს ატა-დნენ საგზალს და სოფლის ბოლომდე აცილებდნენ. თითქმის არ იყო შემთხვევა, რომ სტუმარი მასპინძლის დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, სამ დღეზე მეტ ხანს დარჩენილიყო, თუნდაც ძალიან სტუმართმოყვარე ოჯახში.

სტუმრის მიღება-გამასპინძლების რიტუალი, მარტო ოჯახ-ში გამასპინძლებით არ იფარგლებოდა. თითქმის ყოველ-თვის მასპინძელი თავის სტუმართან ერთად სხვისი, ახლობ-ლის ან მეზობლის სტუმარი ხდებოდა. ეს, კიდევ ერთხელ ვი-მეორებთ, მაჩვენებელია სტუმარმასპინძლობის წესის საერთო-სასოფლო ან სათემო მნიშვნელობისა, იმისა, რომ სტუმრის კარგად დახვედრა მარტო ერთი ოჯახის ან პიროვნების ღირ-სება და მოვალეობა არ იყო (მაგალითად „თუშური“ „აჯხია“). სტუმრის გადაპატიჟება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებისათვის იყო დამახასიათებელი და ის თავისი შინაარ-სით სასოფლო-ტერიტორიული თემის წარმოქმნის პროდუქტი უნდა იყოს. კავკასიის არაქართულ ეთნიკურ ერთეულთა შო-რის კი სტუმარი მისთვის განკუთვნილ ოთახს არ ტოვებდა, ფეხზე დიდხანს დგომა და სიარულიც კი ოჯახის უპატივცემუ-ლობად ჩაითვლებოდა. მსგავსი ჩვევაც ამ ტრადიციის განვი-თარების შემდგომ საფეხურზეა წარმოშობილი და ერთგვარი „საფასური“ იყო სტუმრის უფლებისათვის — სრულად და-ეცვა საიდუმლო და არ გაემხილა თავისი ზრახვები, რაც ქარ-თველ მთიელებში სრულიად მიუღებელი იყო. ჩრდილოეთ კავ-კასიის მთიელებში გავრცელებული ეს წეს-ჩვეულება, ვფიქ-რობთ, აქ ისლამის გავრცელების შემდგომდროინდელი მოვ-ლენა უნდა იყოს.

სტუმარმასპინძლობის ტრადიციებში ზნეობრივ-მორალუ-რი ნორმების დარღვევა მწვავე კონფლიქტს იწვევდა პიროვ-

ნებასა და საზოგადოებას შორის. ამ ზნეობრივი ნორმების აკრძალვის გამო მარტო ქალი უცხო სტუმარს ვერ მიიღებდა და ვერ უმასპინძლებდა. მსგავსი ფაქტები მეტყველებენ არა მარტო ხალხური მორალის სიმკაცრეზე, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ადათ-წესების სიმტკიცეზე, არამედ ქალის მეტ-ნაკლებად დაქვემდებარებულ მდგომარეობაზე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობაში. ამაზევე მეტყველებს ტრადიციაში სტუმრების სქესობრივი დიფერენციაც.

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ მთიელი კაცი არა მარტო სტუმრის პატივისცემაზე ზრუნავს, არამედ საპასუხო პატივისცემასაც მოითხოვს. ამაზე მეტყველებს ცხენით სოფელზე გავლის აკრძალვა (ხევსურეთი).

ქართველ და კავკასიელ მთიელთა სტუმარმასპინძლობის ტრადიციაში სპეციფიკურთან ერთად, შეინიშნება ურთიერთმსგავსი წესების არსებობაც. მსგავსება ამ სფეროში ჩამოყალიბდა ხანგრძლივი კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის პირობებში, რაც ქართველ და კავკასიელ მთიელებს აკავშირებდა. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, აგრეთვე, სოციალური სტრუქტურის მეტ-ნაკლებად თანაბარი დონე ქართველ და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა შორის.

მასპინძლის მოვალეობათა კომპლექსში შეიძლება ჩავთვალოთ სტუმართან ქალის დაწვენის ტრადიციაც. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ მოვლენის გაიგივება აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში გავრცელებულ წესთან, ფშაურ წაწლობასთან და ხევსურულ სწორფრობასთან. ამ შემთხვევაში ქალის დაწვენა იყო მანიშნებელი უდიდესი პატივისცემისა და, პირველ რიგში, ნდობისა. თავის მხრივ კი სტუმარი ღირსეული თავდაჭერით, კიდევ ერთხელ ამყღავნებდა

მადლიერებისა და ოჯახის პატივისცემის გრძნობას. ეს ტრადიცია არ წარმოადგენდა მუდმივ მოქმედ ზნეობრივ ნორმას. წაწლობასა და სწორფრობასთან ერთად, ისიც განიცდიდა სახეცვლილებას და სადღეისოდ აღარსად აღარ არის შემორჩენილი.

სტუმრისა და მასპინძლის ურთიერთდაპოკიდებულების კიდევ ერთი დეტალია მასპინძლის მოვალეობა — საკუთარ სიცოცხლეზე მეტად იზრუნოს და გაუფრთხილდეს სტუმრის უსაფრთხოებას. ეს მოვალეობა უკვე საპასუხო რეაქცია იყო იარაღაყრილი სტუმრის მიმართ, რომელიც სახლში შესვლისთანავე ექცეოდა მასპინძლისა და მთელი მისი ოჯახის მფარველობის ქვეშ. სტუმრის შეურაცხყოფისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ადათობრივი სამართალი სასჯელის განსაკუთრებულ ზომას ითვალისწინებდა. მასპინძლის სურვილს — დაეცვა სტუმარი ხელყოფისაგან — კიდევ უფრო აძლიერებდა ისიც, რომ, მკვლელობის შემთხვევაში, სირცხვილის გარდა, მასპინძლის ოჯახს მხრებზე აწვებოდა მოვალეობა ქმედითი ღონისძიებებით მოეგვარებინა ეს საკითხი. იგი (მასპინძელი) ან უსისხლოდ — საფასურის გადახდით მოაგვარებდა საქმეს ორ მოშუღლე გვარს შორის, ან შურს იძიებდა ისე, როგორც საკუთარი ოჯახის წევრის მოკვლისას. ეს უკვე გადმონაშთია ღრმა წარსულისა, როდესაც ოჯახი იღებდა გარეშე ადამიანს, სტუმარს თავისი მფარველობის ქვეშ, ხოლო ამ უკანასკნელს საკუთარი წვლილი შეჰქონდა ოჯახის მატერიალური ბაზის გაზრდაში და სარგებლობდა ოჯახის წევრის ყველა უფლებით.

ამაზევე მეტყველებს ხშირად სტუმრის დასაჩუქრების წესიც. გაღებული საჩუქარი კი აუცილებლად საპასუხო ჟესტს მოითხოვდა. დროთა განმავლობაში ამ წესმა უბრალო პატივისცემის ფორმა მიიღო. ადრე კი ასეთი საქციელი ნიშნავდა

სტუმრის სრულ უფლებას ოჯახის მატერიალურ დოვლათზე. სტუმრის დასაჩუქრების ტრადიცია არსებობდა ყველგან, იგი საერთო-კავკასიური ნიშანია სტუმართმოყვარეობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა სტუმარი თანასწორი უფლებით სარგებლობდა მასპინძლის ოჯახის გულუხვობით, მაინც გამოიკვეთა განსხვავება უცხო და ახლობელ სტუმარს შორის. განსაკუთრებით საპატიო სტუმრად ითვლებოდა დედის ძმა, დისშვილი, ძმადნაფიცი. დედის ძმისადმი განსაკუთრებული ყურადღება აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში მატრილინეური ხაზის ტრადიციულობით უნდა აიხსნას. ამაზე მეტყველებს დედის ძმის უფლებამოსილება მნიშვნელოვანი საქმის გადაწყვეტისას. სისხლის აღების დროსაც დედის საგვარეულოდან ეს უფლება მხოლოდ მას ეკისრებოდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მთიელებში გაბატონებული ორი დაუწერელი და ყველა კანონზე უმტკიცესი წესის, სტუმართმოყვარეობისა და მესისხლეობის ურთიერთდამოკიდებულება. ორთაბრძოლაში გამარჯვებული გამოდიოდა უმრავლეს შემთხვევაში სტუმარმასპინძლობის მაღალზნეობრივი და პრაქტიკული ტრადიცია. ოჯახში მოხვედრილი მოსისხლეც კი ხელშეუხებელი ხდებოდა. რადგან იგი პირველ რიგში, სტუმარი იყო, ეს კი ხშირად მტრულად განწყობილი გვარების შემორიგების საიმედო საწინდარი იყო.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში სტუმარმასპინძლობის ნორმები დაცულია ისევე, როგორც ოჯახში ჩვეულებრივად მოსული სტუმრის დროს, მაგრამ უფრო მასშტაბური ხასიათი აქვს და ოდნავი განსხვავებები ახლავს. ეს განსხვავებები კი დამოკიდებულია იმაზე, თუ ოჯახისათვის რა მოვლენასთან არის დაკავშირებული თავყრილობა — ჭირი», თუ ლხინი. ნათლად გამოიკვეთება მეზობლებისა და ნათესავ-ახლობლების ფუნქ-

ცია-მოვალეობანი სტუმრის მიღებისას. ეს კი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ სტუმართმასპინძლობას ჰქონდა საერთო-სათემო მნიშვნელობა, რომ კერძო პირის მიერ სტუმრის მიღება ისევ და ისევ მისი გვარის, თემის ან სოფლის ღირსების გამომხატველი იყო. ერთი ოჯახის სტუმარი მთელი სოფლის, თემის სტუმრად ითვლებოდა, რაც ისევ და ისევ ნათლად მიუთითებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ტერიტორიული (სამეზობლო) თემის ტრადიციების ფუნქციონიერებაზე.

* * *

ეთნოგრაფიული და სხვა რიგი მასალების შედარებითი შესწავლით ნაშრომში გამოიკვეთა სტუმარმასპინძლობის ადგილი და მნიშვნელობა ქართველ მთიელთა საზოგადოებრივ ყოფაში. კვლევამ გამოავლინა სტუმარმასპინძლობის რამდენიმე ასპექტი, რამდენადაც ეს წესი სრულდებოდა არა მარტო ყოველდღიურ საოჯახო ცხოვრებაში, არამედ უფრო დიდი მასშტაბებითაც — ქორწილში, მიცვალებულის დასაფლავების დროს და ხალხურ დღესასწაულებში. ასეთი ფართო ასპექტების გამო სტუმარმასპინძლობა ქართველ მთიელებში, ისევე როგორც ყველა ხალხის ცხოვრებაში, საზოგადოებრივი ყოფის ერთ-ერთი ყველაზე უფრო შესამჩნევი მოვლენაა, ხალხური ტრადიციების ორგანული და მოქმედი ელემენტია. ტრადიცია კი როგორც ცხოვრების წესი, ზნე-ჩვეულებათა მთელი კომპლექსი, უშუალო კავშირშია საზოგადოების წარმოშობა-განვითარების ურთულეს პროცესთან. როგორც ცნობილია, ყველა ეპოქაში ტრადიცია არეგულირებდა ადამიანთა ცხოვრებას, ყოფისა და ზნეობის ნორმებს. ამასთან ერთად, ტრადიცია უდიდეს როლს ასრულებდა ნებისმიერი ხალხის თვით-

შეგნებისა და რწმენის ჩამოყალიბების საქმეში. ეს ფუნქცია ტრადიციას შენარჩუნებული აქვს დღესაც. აღნიშნული ვითარება შეინიშნება, პირველ რიგში, დიდი ისტორიული წარსულისა და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მქონე ხალხებში, რომელთა შორის დგანან ქართველებიც.

სტუმარმასპინძლობის ტრადიციებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებრივი ყოფის სხვა მოვლენებისათვის დამახასიათებელია ცვალებადობა ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად. ქართველ მთიელთა ყოფა ამ მხრივ არ წარმოადგენდა გამონაკლისს. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბარის რეგიონებისაგან განსხვავებით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სტუმარმასპინძლობის ტრადიციები შედარებით თავისუფალი იყო კლასობრიობის ელემენტებისაგან, ვინაიდან საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოში მთის კუთხეებისათვის დამახასიათებელი იყო სუსტად განვითარებული სოციალური დიფერენციაცია — ბართან შედარებით. მთიანეთში სტუმარმასპინძლობის ბევრი კარგი და პოზიტიური მხარის შენარჩუნებასა და თაობიდან თაობაში გადაცემას ხელს უწყობდა მთის სოციალურ სტრუქტურაში ფუნქციონირებადი ტერიტორიული თემის ტრადიციები.

დრომოჭმული ჩვეულება კარგავდა თავის ფუნქციას და დგებოდა მისი შეცვლის ან სრული ლიკვიდაციის საკითხი. ხალხური წეს-ჩვეულებების ეთნოგრაფიული შესწავლა გვიჩვენებს, თუ რა სახის ცვლილებებს განიცდიდა სტუმარმასპინძლობის ტრადიცია. ამასთან ერთად, წერილობითი წყაროებიდანაც აშკარავდება, თუ, საზოგადოებრივი ყოფის სფეროში, ცვლილებათა განხორციელების მიზნით, რა საშუალებებსა და მეთოდებს იყენებდა სახელმწიფო ხელისუფლება ან ეკლესია. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხალხის ცხოვრებაში შე-

მორჩენილ მავნე წეს-ჩვეულებებს კრიტიკულად ავლენდა ყველა ეპოქის ქართული მწერლობა. ამგვარი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა ფართოდ გაიშალა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ხალხის ყოფა-ცხოვრების ავ-კარგი განიხილეობდა ეპოქის მოთხოვნილებებთან კავშირში. უარყოფითი მოვლენების აღკვეთა კი შეუძლებელი იყო ამ მოვლენების შეცნობის გარეშე. აღნიშნული მოვლენა მთელი სისრულით ჰქონდათ გათვალისწინებული ქართველ სამოციანელებს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეებს დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით [16]. მაგრამ აქვე იმ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ სოციალისტური საზოგადოებისაგან განსხვავებით, XIX საუკუნისა და XX საუკუნის ოციანი წლების ქართული საზოგადოებრიობა უარყოფითი, ნეგატიური მოვლენების, დამახინჯებული ტრადიციების მხოლოდ ფიქსაციით შემოიფარგლებოდა. კლასობრივ საზოგადოებაში შეუძლებელი იყო ტრადიციების მართვა, რასაც მხოლოდ ჩვენი დღევანდელი სოციალისტური საზოგადოება ახერხებს. ის არეგულირებს და მართავს ტრადიციებს, რაც სავსებით შეიძლება ითქვას სტუმარმასპინძლობის ქართული წეს-ჩვეულების შესახებაც. კომუნისტური საზოგადოება ცდილობს დაძლიოს შემორჩენილი ტრადიციების მიუღებელი ელემენტები და ფართო გასაქანი მისცეს ასეთი წეს-ჩვეულების (და მათ შორის სტუმარმასპინძლობის) პოზიტიურ ნაწილს. ჩვენი საზოგადოება მოწოდებულია შეისწავლოს ამა თუ იმ ინსტიტუტის წარმოშობა, გენეზისში განიხილოს ის, გაიაზროს, რომელი მოდის თავიდან, რომელია შემდეგ მიღებული, შეთვისებული, რომელი მათგანი უფრო შეესაბამება დღევანდელ საზოგადოებას და მხოლოდ ამ გზით გამოუცხადოს ბრძოლა

უარყოფით, ანუ დღეისათვის მიუღებელ წეს-ჩვეულებებს. სტუმარმასპინძლობაც ამ ტრადიციათა რიგს განეკუთვნება. აღნიშნულის გადასაწყვეტად კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკითხის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლას.

ეთნოგრაფიული მასალების ამ თვალსაზრისით შეკრების უდიდესი მნიშვნელობა შეგნებული ჰქონდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილსაც. ილია ჭავჭავაძე წერდა: „ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ყველა შეგნებული ქართველისათვის იცოდეს — რაგვარ და რომელ ჩვეულებებს მისდევს მდაბიო ხალხი თავისი ეკონომიურ და იურიდიულ ურთიერთობის შესახებ. ეს სფერა ცხოვრებისა მთელ სურათს გადაუშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახებს ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულებას სამართალზედ, ურთიერთს დამოკიდებულებაზედ და სხვა“ [42, 192]. ხალხის ყოფა-ცხოვრების შესწავლას ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა დიდ საზოგადოებრივ საქმედ. მისი ღრმა რწმენით „სადაც მდაბიო ხალხის ცხოვრების შესწავლა ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის ყოველგვარ ჩვეულებას, ცხოვრების ყოველგვარ საგანს ჯეროვან ყურადღებას აქცევენ და გამოუკვლევლად არაფერს სტოვებენ. სწორედ ამგვარ შესწავლას და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი, მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიცნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი, იმისი წადილი, საჭიროება. სადაც ასე არ არის, იქ ყოველთვის შესაძლოა შევცდეთ და ვერ შევიტყოთ — რა სურს ხალხს და რას აქცევს ზურგს იგი“ [42, 192].

ქართველი ხალხის ყოფითი კულტურისა და ტრადიციებისადმი ამგვარი დამოკიდებულებით შეიქმნა იმის რეალური საფუძველი, რომ საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებთა აქტიური მონაწილეობით სასარგებლო ღონისძიებები განხორციელებულიყო ხალხის ცხოვრების სფეროში. მხედველობაში გვაქვს XIX საუკუნეში მიღებული არაერთი დადგენილება ზედმეტი ხარჯებისა და წეს-ჩვეულებათა რეგულირების მიზნით. საყურადღებოა, რომ ამგვარი ხასიათის დადგენილებებს, რომელთა გარკვეული პუნქტებით გათვალისწინებული იყო სუფრაზე დამსწრეთა რიცხვის შემცირება და ხელგაშლილი სტუმარ-მასპინძლობის ლიმიტირება, უმთავრეს შემთხვევაში ღებულობდნენ სოფლისა და საზოგადოების ყრილობებზე და ეს ხდებოდა, ძირითადად, მთიან რეგიონებში. ბუნებრივია, რომ საქმეში ერეოდნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწეებიც, რომლებიც მიღებულ გადაწყვეტილებებს აქვეყნებდნენ პერიოდული პრესის ფურცლებზე. ეს იმის გარანტიას ქმნიდა, რომ ერთ რომელიმე კუთხეში ჩატარებული სასარგებლო ღონისძიება ცნობილი და მისაბაძი გახდებოდა მთელი საქართველოსათვის [37].

ეროვნული ტრადიციებისადმი დამოკიდებულებას საგანგებო მნიშვნელობა მიენიჭა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღიდან, ვინაიდან მრავალეროვან სახელმწიფოში ხალხთა შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია შეუძლებელი იყო მათი ყოფისა და კულტურის, ცხოვრების წესისა და ზნე-ჩვეულებათა თავისებურებების გაუთვალისწინებლად. აღნიშნული ვითარება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დონეზე აიყვანა ვ. ი. ლენინმა, როდესაც შეიმუშავა ახალშექმნილი სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების გეგმა. იგი ხაზს უსვამდა, რომ „ძველის ნაშთები ზნე-ჩვეულე-

ბითი განსაზღვრული დროის განმავლობაში გადატრიალების შემდეგ აუცილებლად ახლის ყლორტებზე მეტი იქნება. როდესაც ახალი ეს-ესაა დაიბადა, ძველი ყოველთვის რჩება და ერთხანს მასზე ძლიერია. ეს ყოველთვის ასე ხდება ბუნებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც". [4, 497].

როდესაც ვ. ი. ლენინი გადმონაშთურ მოვლენებს ამგვარ კვალიფიკაციას აძლევდა, ითვალისწინებდა ფრთხილ დამოკიდებულებას საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისა და ცრუმორწმუნეობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის პროცესში. ცხოვრების პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის დამაბრკოლებელია როგორც წარსულის მავნე გადმონაშთები, ისე თანამედროვე ეპოქაში წარმოქმნილი ზოგიერთი ნეგატიური მოვლენა. აღნიშნულ ვითარებასთან დაკავშირებით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში განხორციელებულ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 24 ნოემბრის დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" (გაზ. „კომუნისტი", 1975, 25/XI № 276).

აღნიშნულ დოკუმენტს აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. მასში მოცემული ფორმულირების მიხედვით, ყოველი ტრადიცია უნდა შეისწავლებოდეს მისი გენეზისის, გამძლეობის ფაქტორებისა და არსის მიხედვით. მრავალ სხვადასხვა ხასიათის ჩვეულებასთან ერთად, ეს ეხება სტუმარმასპინძლობის წესსაც, რამაც საქართველოს ყველა კუთხეში მეტნაკლები სისრულით შეინარჩუნა როგორც დადებითი თვისებები, ისე თანამედროვეობისათვის შეუფერებელი გადმონაშთები. ამასთან ერთად, სტუმარმასპინძლობამ შეითვი-

სა ზოგიერთი ისეთი წესი, რაც თავისი ბუნებით ეწინააღმდეგება საბჭოური ცხოვრების ნორმებს თუ მორალს და ნეგატიურ მოვლენათა რიგს მიეკუთვნება. პირველ რიგში საქმე ეხება სტუმარმასპინძლობის ტრადიციის დამახინჯებას — საქმოსნური ელემენტების დამკვიდრებას. ამიტომაც აღინიშნა ზემოხსენებულ დადგენილებაში, რომ ტრადიციულობით შენიღბული საქმოსნები, კომბინატორები და წამგლეჯები მარჯვედ იყენებდნენ სტუმარმასპინძლობის წესებს და სტუმართმოყვარეობის მოტივით ამახინჯებდნენ მის შინაარსს, მის ბუნებას. ზოგჯერ ეს წესი გამოიყენება მექრთამეობის საშუალებად, როდესაც ხელგაშლილი მასპინძლობა შენიღბულია „სტუმრის კულტით", ხოლო ქრთამი — ძვირფასი საჩუქრებით. სტუმართმოყვარეობის მოტივით დამახინჯებულია ადამიანთა ურთიერთობა, როდესაც სამსახურებრივი უფროს-უმცროსობა გამოიხატება ხოტბასა და მლიქვნელობაში. როგორც დადგენილებაში ითქვა, „გაყალბებულია ქართული სტუმართმოყვარეობა, რომელსაც ყოვლად გაუმართლებლად ხალხმრავალი და გაუთავებელი ღრეობების ფარგლებში აქცევენ ხოლმე".

დადგენილებაში ხაზგასმით აღინიშნა ამგვარი ტენდენციის შეუთავსებლობა თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების მართვის სისტემაში. დადგენილებაში ყურაღება მიექცა იმ გარემოებასაც, რომ სტუმარმასპინძლობა, როგორც საზოგადოებრივი ყოფის მნიშვნელოვანი ელემენტი, მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეზობლური ურთიერთდახმარების ჩვეულებასთან, რაც ხელს უწყობდა ადამიანის შრომისა და ცხოვრების გაადვილების საქმეს. დადგენილება მხარს უჭერს დადებითი ტრადიციის აღდგენას და გმობს უარყოფით მოვლენებს, რამაც გზა გაიკაფა აღნიშნული ურთიერთობის სფეროში.

დადგენილების მიღებიდან დღემდე რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა ბრძოლა მავნე წეს-ჩვეულებების ლიკვიდაციის

მიზნით. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა სასმელის გადაჭარბებული ხმარების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს. სასმელი კი სტუმრის გამასპინძლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი იყო. ამ ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგები, ვინაიდან მოვლენათა ეთნოგრაფიული შესწავლის საფუძველზე დგინდება რა არის ტრადიციული და რა ნეგატიური. სტუმარმასპინძლობის შესწავლამ ნათლად გვიჩვენა, რომ საქართველოში, კერძოდ კი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სტუმარმასპინძლობის ტრადიციები დადებით როლს ასრულებდა ყოფის სხვადასხვა სფეროში. სტუმარმასპინძლობა ხელს უწყობდა ნათესავებსა და ნაცნობებს შორის კეთილსასურველი ურთიერთობის შენარჩუნებას. ამასთან ერთად, ეს ურთიერთობა არ სცილდებოდა ვალდებულებათა მარტივ ფორმებს, უმთავრესად უმნიშვნელო ღირებულების ძღვენით მოკითხვას. არსებულ ეკონომიკურ პირობებს შეესაბამებოდა დაწესებული ხარჯები სუფრის გაწყობის დროსაც. ამ მხრივ მთიელთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში დღესაც არ არის საგანგაშო მდგომარეობა. სტუმარმასპინძლობა მთიელთა შორის ბევრად უფრო ინარჩუნებს ზომიერებას, ვიდრე საქართველოს ბარისა და ქალაქების მოსახლეობაში. გადაჭარბებული სტუმრიანობა და უზომოდ დიდი ხარჯები ზიანს აყენებს როგორც მასპინძლის, ისე მთელი ჩვენი საზოგადოების ეკონომიკას.

სტუმარმასპინძლობის ტრადიციები ისეთ მოვლენათა სფეროს განეკუთვნება, რომლის მოწესრიგება დაკავშირებულია შრომითი დისციპლინის განმტკიცების ინტერესებთანაც. ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, ყურადღება ექცევა დროის გამოყენების ფაქტორს, რომლის უგულებელყოფა ხშირ შემთხვევაში იწვევს შრომითი რეჟიმის დარღვევას. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის სტუმარმასპინძლობის ტრადიციების

შესწავლის მნიშვნელობას. მისი შესწავლის შედეგად, როგორც ეს დავინახეთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მაგალითზე, იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ გამოვავლინოთ უარყოფითი მოვლენები, მისგან გავათავისუფლოთ ეს შესანიშნავი ტრადიცია და შეინარჩუნოთ მას თავისი მიმზიდველობა.

ქართველ მთიელთა სტუმარმასპინძლობის ტრადიციების შესწავლის საფუძველზე შესაძლებლად მიგვაჩნია რამდენიმე სარეკომენდაციო პუნქტის გამოყოფა:

1. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა საოჯახო ცხოვრებაში აუცილებელია სტუმარმასპინძლობის იმ ძირითადი პრინციპების შენარჩუნება, რაც საუკუნეების განმავლობაში ასულდგმულებდა მათ ზნეობრივსა და სულიერ მოთხოვნილებებს. ამისი საჭიროება განსაკუთრებით იგრძნობა მთაში ცხოვრების განახლების ამოცანების გადაჭრასთან დაკავშირებით. ეს იმიტომ, რომ სტუმარმასპინძლობა ხელს უწყობდა ნათესაური და სამეზობლო ურთიერთობის განმტკიცებას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს სოფლისა თუ ხეობის მცხოვრებთა ერთობისათვის, ურთიერთთანადგომის შენარჩუნებისათვის. ქართველ მთიელს ყოველთვის ჰქონდა, აქვს და ექნება როგორც მასპინძლობის, ისე სტუმრობის მოთხოვნილება, რომლის შენარჩუნებისათვის საესებით დამაკმაყოფილებელია მთის მოსახლეობაში ოდითგანვე არსებული ამგვარი ურთიერთობის მარტივი ფორმები. მხედველობაში გვაქვს გამასპინძლების წესი ოჯახისათვის შესაძლებელი ხარჯების გაწევით, სტუმრის მისვლა უმნიშვნელო ღირებულების ძღვნით და სტუმარ-მასპინძლის შეხვედრა-ურთიერთობის სისადავე.

აღნიშნულ ვითარებასთან მიმართებაში უარყოფითად შეიძლება შეფასდეს ნათესავებსა და გარეშე პირებს შორის ურთიერთობა სტუმარ-მასპინძლობის გაზვიადებული და გაყალბებული ცერემონიებით. ამას ზედ ერთვის გადაჭარბებული ხარჯები, რაც ხშირ შემთხვევაში ბევრად აღემატება როგორც ოჯახის ეკონომიურ დონეს, ისე ასეთი შეხვედრის საჭიროებას. მსგავსმა მოვლენებმა სტუმარმასპინძლობის ტრადიციულ წესებს მოჩვენებითობისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, კომერციის სახე მისცა. ამ ნეგატიური მოვლენების უარყოფა და სტუმარმასპინძლობის სფეროში ტრადიციული უბრალოების აღდგენა თანამედროვე მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მოთხოვნილებით არის ნაკარნახევი.

2. ქართველ მთიელთა საზოგადოებრივ ყოფაში მიზანშეწონილი იქნებოდა იმ ნორმების შენარჩუნება, რაც მიღებული იყო მიცვალებულის გლოვის დროს. ასეთ ვითარებაში ნათესავებისა და გარეშე პირების მონაწილეობა მცირედი მოსაკითხით, მაგრამ დიდი გულისხმიერებით, თანამედროვე ვითარებაშიც დაამშვენებდა სამგლოვიარო რიტუალს. მისგან განსხვავებით, მიცვალებულის გლოვაში გამასპინძლების წესმა გადაგვარება განიცადა ბარის მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში. საწინააღმდეგოდ ძველი ტრადიციისა, როდესაც სამგლოვიარო სუფრასთან შეზღუდული რაოდენობით სხდებოდნენ, ხოლო წინასწარ უმასპინძლდებოდნენ მხოლოდ შორიდან მოსულთ, დღეს ხალხმრავალი სუფრის გაშლა მიცვალებულის დაკრძალვაზე წესად დაინერგა და სტუმარმასპინძლობის ტრადიციით შეინიღბა. ამდენად, ამ ჩვეულების შეზღუდვა აუცილებელია.

3. სასურველია სტუმარმასპინძლობის მარტივი ფორმების შენარჩუნება საქორწილო ურთიერთობის სფეროში. ქორწილ-

ში სტუმრად მისვლის წესი მცირე ღირებულების ძღვენ-საჩუქ-რით და გამასპინძლების ჩვეულება არსებითად განსხვავდება საქართველოს მრავალ კუთხეში დამკვიდრებული ხალხმრავა-ლი ქორწილებისა და ფულის შეგროვების წესისაგან, რომლის შეზღუდვა, ხოლო ზოგიერთი მოვლენის მოსპობა, ტრადიცი-ულ სახეს აღუდგენდა ქართულ საქორწილო რიტუალს.

4. უარყოფით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ჯვარ-სალო-ცავებში მისვლა და ურთიერთგამასპინძლების დღემდე შემორ-ჩენილი ჩვეულება. სასურველია ჩვენს მთაში დღემდე ზოგი-ერთ ადგილას შემორჩენილი რელიგიური დღესასწაულები გადაიქცეს ნათესავების, ერთი გვარის წარმომადგენელთა თავ-შეყრის დღესასწაულად. საქართველოში ასეთი პრაქტიკა გვაქვს და იგი თავის დროზე მოწონებულ იქნა ცენტრალური პარტიული პრესის მიერ.

ასეთია ჩვენი სავარაუდო მოსაზრებანი სტუმარმასპინძლო-ბის ჩვეულებასთან დაკავშირებით. ეს მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სარეკომენდაციოდ ქართველი ხალხის ყო-ფაში გადმონაშთების სახით შემორჩენილი ან თანამედროვე ვითარებაში წარმოქმნილი ნეგატიური მოვლენების განხილვი-სას, რითაც დაინტერესებულია ჩვენი საზოგადოება. სტუმარ-მასპინძლობის შესწავლის შედეგად, როგორც ეს დავინახეთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მაგალითზე, იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ გამოვავლინოთ უარყოფითი მოვ-ლენები, მისგან გავთავისუფლოთ ეს შესანიშნავი ტრადიცია და მას შევუნარჩუნოთ თავისი მიმზიდველობა. ასეთია აღმო-სავლეთ საქართველოს მთიელთა სტუმარმასპინძლობის ტრა-დიციების ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლისა და მისი თანამედროვეობასთან მიმართების საკითხი.

СТАРЫЕ И НОВЫЕ ТРАДИЦИИ ГОСТЕПРИИМСТВА В НАГОРЬЕ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

Резюме

В работе освещены традиции гостеприимства в нагорье Восточной Грузии. Гостеприимство по своей природе является универсальным явлением, ибо оно характерно для общественной жизни всех народов — начиная с возникновения человеческого общества по сей день. Для этого явления характерно традиционность, обусловливающая и его специфичность, и самобытность жизни того или иного народа.

В работе рассматриваются формы приема и встречи гостей в горах Восточной Грузии, нормы взаимоотношения между гостями и хозяевами, взаимные их обязанности по отношению друг к другу; выявлены социальные, экономические, религиозные и психологические факторы традиции гостеприимства. Данные об этой традиции, содержащиеся в исторических источниках в устном народном творчестве, сопоставляются с полевым этнографическим материалом.

В заключении рассматривается место и значение указанной традиции в социалистическом обществе. Показаны результаты тех мероприятий, которые осуществлялись с целью изменения устаревших обычаев в XIX

веке и в особенности после прихода Советской власти в Грузии.

Дается соответствующая оценка постановлению Центрального Комитета КП Грузии от 24 ноября 1975 года «О мерах по усилению борьбы против вредных традиций и обычаев». Подчеркивается как теоретическое, так и практическое значение этого документа, на основании которого должны быть изучены традиции с точки зрения их генезиса, факторов устойчивости, их социальной сущности и места в процессе формирования социалистического образа жизни.

В конце труда сформулированы в нескольких пунктах рекомендации.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. Маркс К., Экономическо-философские рукописи 1884 г. Маркс К., Энгельс Ф., Из ранних произведений, М., Госполитиздат, 1956, с. 590.

2. ფ. ენგელსი ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 111.

3. Ленин В. И. О литературе и искусстве. М., 1960.

4. ვ. ი. ლენინი, დიდი თაოსნობა თხზულებანი, ტ. 29, მეოთხე გამოცემა, თბ., 1952.

5. მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, მიცვალებულის კულტი არხოტის თემში მსე, ტ. III, თბ., 1940.

6. ვ. ბარდაველიძე, მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობის ისტორიიდან საქართველოში (მოძმეობის ინსტიტუტი), „მაცნე", № 3, 1971.

7. მ. ბექაია, ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, 1974.

8. მ. გეგეშიძე, ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1978.

9. დ. გიორგაძე, მიცვალებულის კულტი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), საკანდიდატო დისერტაციაჯ, თბ., 1975.

10. ვაჟა-ფშაველა, თხზულებები, ტ. IX.

11. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება", ტ. IV, თბ., 1973.

12. ა. ზურაბაშვილი, პერსონოლოგიური პრობლემები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, ჟურ. „მნათობი", 1969, № 5.

13. გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ., 1930.

14. თ. იველაშვილი, სანიკარი სამცხე-ჯავახეთში, „მაცნე", № 4.

15. ვალ. ითონიშვილი ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960.

16. ვალ. ითონიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, თბ., 1963.

17. ვ ა ლ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში, „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული“, ტ. I, თბ., 1964.

18. ვ ა ლ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, ტ, I. ნახებისა და ოსების საოჯახო ყოფა, თბ., 1969.

19. მ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, ქართველ მთიელთა საზოგადოებრივი ყოფის ისტორიიდან (ამანათის ინსტიტუტი) თბ., 1982 (საკანდიდატო დისერტაცია).

20. ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, თბ., 1961.

21. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, ტფ., 1933.

22. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავი, ტფ., 1934, გვ. 249—250.

23. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევი, ტფ., 1934.

24. შ. ნ ა დ ი რ ა შ ვ ი ლ ი პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975.

25. ბ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. I, 1964.

26. ა ლ. ო ჩ ი ა უ რ ი, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, თბ., 1980.

27. თ. ო ჩ ი ა უ რ ი, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967.

28. ს. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, ქართველ და ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელთა ურთიერთობა XIX—XX საუკუნეებში, თბ., 1973 (საკანდიდატო დისერტაცია).

29. თ. ს ა ხ ო კ ი ა, მოგზაურობანი, თბ., 1950.

30. თ. ს ა ხ ო კ ი ა, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1960.

31. ე ლ. ს ტ უ რ უ ა, ქართული სტუმართმოყვარეობა და მისი ზნეობრივი მნიშვნელობა, კრებ. „ტრადიციები და თანამედროვეობა“, თბ., 1977.

32. ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.

33. ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963.

34. ქართული სამართლის ძეგლები, IV, თბ., 1972.

35. ს. შ ა დ უ რ ი, წერილი ხევიდან, გაზ. „ივერია“, 1902, №№ 134—135.

36. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფ., 1931.

37. ვ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პერიოდიკის მიხედვით, თბ., 1979.

38. თ. ჩიქოვანი, იდუმალა, თბ., 1975.
39. გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, „ენიმკის“ მოამბე, ტ. X, თბ., 1942,
40. დ. ცისკარაული, ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, ისტორიის ინსტიტუტის არქივი.
41. ა. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, თბ., 1972.
42. ი. ჭავჭავაძე, ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, თბ., 1955.
43. ი. ჭუბინია, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბ., 1955.
44. ხალხური სიბრძნე, ქართული ზღაპრები, II, თბ., 1964.
45. რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1936.
46. რ. ხარაძე, სოფლის თემი ბალყარეთში, მსე, ტ. XI, თბ., 1960.
47. Бгажноков Б. Х., Адыгский этикет, Нальчик, 1978.
48. Большая энциклопедия, под ред. Южакова С. Н. т. 7, СПб, 1902.
49. Громыко М. М., Место сельской (территориальной, соседской) общины в социальном механизме формирования, хранения и изменения традиции, СЭ, № 5, 1984, с. 70—80.
50. Джанашвили М., Абхазия и абхазцы, ЗКОРГО, к. 16, Тифлис, 1894.
51. Дубровин Н., Черкесы, «Военный сборник», СПб, 1870, № 3.
52. Зиссерман Л., Двадцать пять лет на Кавказе, СПб, 1979, ч. I—II.
53. Иванова Ю. В., Институт гостеприимства у горских народов Балканского полуострова и Кавказа. «Балканские исследования. Проблемы истории и культуры», М., 1976.
54. Калоев Б. А., Осетины, М., 1972.
55. Ковалевский М., Современный обычай и древний закон, Обычное право осетин в историко-сравнительном освещении, т. II, М., 1886.
56. Ковалевский М., Закон и обычай на Кавказе, т. I.
57. Косвен М. О., Очерки истории первобытной культуры, М., 1957.

58. Косвен М. О., Этнография и история Кавказа, М., 1961.

59. Кудрявский Д. Н., Прием почетного гостя по древнеиндийским правилам домашнего ритуала, СПб, 1896.

60. Леви-Брюль, Л., Сверхъестественное в первобытном мышлении, М., 1937.

61. Леонтович Ф. И:, Адаты кавказских горцев, т. I—II, Одесса, 1882.

62. Липс Ю., Происхождение вещей, М., 1954.

63. Миллер В., Осетинские этюды, М., 1881.

64. Морган Л. Г., Дома и домашняя жизнь американских туземцев, Л., 1934.

65. Нарты, эпос осетинского народа, М., 1957.

66. Осетины глазами русских и иностранных путешественников (8—19 вв.), вводная статья Калоева Б. А., Орджоникидзе, 1967.

67. Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах, Цхинвали, 1981.

68. Петражицкий Л., Теория права и государства в связи с теорией нравственности, т. I, СПб, 1910.

69. Пожидаев В. П., Горцы Северного Кавказа, М—Л., гос. изд-во, 1926.

70. Радде Г., Хевсурия и Хевсуры, Тифлис, 1881.

71. Тайлор Эд. Б., Антропология, СПб., 1898.

72. Шурц Г., История первобытной культуры, СПб., 1910.

73. Эристов Р., О Тушино-Пшаво-Хевсурском округе, ЗКОРГО, кн. III, Тифлис, 1885.

74. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, თბილისი, „მეცნიერება", 1967.

75. მ. მოწერელია, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები საქართველოში ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, მეცნიერება, თბილისი, 1985, გვ. 166—176.

შემოკლებათა განმარტება

მსე — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის.

ЗКОРГО — Записки Кавказского Отдела Русского Географического Общества.

СЭ — Советская этнография.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

სბ 3567

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი
მხატვარი გ. ლომიძე
მხატვრული რედაქტორი მ. ხურცილავა
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ც. ქიტიაშვილი
გამომშვები ე. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 22.6.1987; ხელმოწერილია დასაბეჭდად
ქაღალდის ზომა $5^1/_2 \times 7^1/^2$; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური, პირობითი საღ. გატ. — 3.9; პირობითი საბეჭდი
თაბახი 3.7; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2.9;
უე 01029; ტირაჟი 1400; შეკვეთა № 2219;

ფასი 50 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060,
ул. Кутузова, 19